

K 259 064
3



80709222

საქართველოს
საბჭოთავო
საგარეო
აღმსრებელი
ბიუროს
სამუშაო
პაპირი

190.063
K 259.063

ბიოგრაფიული ცნობები


~~K 115.725~~
3

ბერძენი ხელოვნება

~~F 85.763~~
3

სსრკ-ის და უკრაინის

გამომცემლობა
„ლიტერატურა და ხელოვნება“
19 თბილისი 64



251
3
1952

კრიტიკოსი გიორგი ციციშვილი ამ მონოგრაფი-
ულ ნარკვევში მოგვითხრობს ცნობილი დრამატურ-
გისა და მწერლის გერცელ ბაზოვის ცხოვრებასა და
შემოქმედებაზე.

ნარკვევში გამოქვეყნებულია შეთხველისათვის
დღემდე უცნობი ბევრი მასალა მწერლის პირველი
შემოქმედებითი ნაბიჯებისა და საზოგადოებრივი
მოღვაწეობის შესახებ.



რედაქტორის წინასიტყვა

გერცელ ბააზოვი საინტერესო, თავისებური ფიგურაა ქართულ ლიტერატურაში. ბევრს ვერ დავასახელებთ ქართველ ებრაელთა წრიდან გამოსულ ინტელიგენტს, რომელსაც ესოდენი როლი ეთამაშოს ჩვენი კულტურის განვითარებაში. მშრომელ ქართველ ხალხთან ერთად ცხოვრობდნენ და შრომობდნენ საუკუნეთა მანძილზე ქართველი ებრაელები. ოდესღაც დიდი ერის ნაწილმა, ერისა, რომელსაც თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის მსოფლიო კულტურის საგანძურის გამდიდრებაში, თავისი მეორე სამშობლო ჩვენთან ჰპოვა, შეითვისა ქართული ენა და ჩვენი ხალხის ისტორიული ჭირ-ვარამი თუ სინარული გაიზიარა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ შესცვალა ებრაელთა ყოფაცხოვრება. უწინ ჩამორჩენილი, დაჩაგრული ქართველი ებრაელები ყველა საბჭოთა მშრომელთან ერთად ახალ ცხოვრებას ეზიარნენ. ამ ახალი ცხოვრების შენების პროცესში ჩაებნენ. მათთვის ფართოდაა გახსნილი გზა ყველა დარგში საასპარეზოდ. ასობით ექიმი, ინჟინერი, მუსიკოსი, მეცნიერი. მასწავლებელი გამოვიდა მათ წრიდან.

სწორედ ამ ახალი ყოფის, ახალი ცხოვრების განსამტკიცებლად იბრძოდა გერცელ ბააზოვი თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე. მან შექმნა მგზნებარე პუბლიცისტური, ნიჭიერი პროზაული და თვალსაჩინო დრამატული ნაწარმოებები, რომლებმაც საპატიო ადგილი დაუმკვიდრეს მას ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში.

ჩვენს ხალხს არ სჩვევია თანამოქმის ხსოვნისა და ღვაწლის დავიწყება. წელს საქართველოს მშრომელები ფართოდ აღნიშნავენ მწერლის დაბადების 60 წლისთავს. ეს წიგნიც და იუბილევ პატივისცემის ნიშანია გერცელ ბააზოვის ხსოვნისადმი.


თენგიზ ბუაჩიძე

ოქტომბერი, 1964 წ.

საქართველოს
მეცნიერებათა აკადემია



გერცელ ზაზოვი
გიმნაზიელი.



გერცელ ბაზოვი ქართული საბჭოთა დრამატურგიის ერთი თვალსაჩინო, საინტერესო და კოლორიტული ფიგურაა. ამ ნაყოფიერმა მწერალმა თავისი ორიგინალური შემოქმედებით ხელი შეუწყო საბჭოთა ქართული დრამატურგიის თემატურად განვრცობას, მხატვრულად დახვეწას და იდეურად განმტკიცებას.

გერცელ ბაზოვის ცოცხლად, მიმზიდველად, ექსპრესულად დაწერილი პიესები წარმოადგენენ წინ გადადგმულ ნაბიჯს ოცდაათიანი წლების ნაციონალური დრამატურგიის იდეურ-მხატვრული სრულყოფის საქმეში. ამ პიესებმა გარკვეული როლი ითამაშეს სოციალისტური რეალიზმის მეთოდის დრამატურგიაში დამკვიდრებისა და სრულყოფილად მომარჯვებისათვის.

გერცელ ბაზოვის პიესები გამოირჩევა ნამდვილი რეალისტურობით და ბუნებრიობით, მაღალი სცენიურობით და თემატური სიახლით. „მუნჯები ალაპარაკდნენ“, „განურჩევლად პიროვნებისა“, „იცა რიჟინაშვილი“ ისევე როგორც „ხაგაი“, „შავი ზღვის პირას“ თავის დროზე ფრიად საყურადღებო მოვლენას წარმოადგენდნენ ქართულ დრამატურგიულ პრაქტიკაში. გ. ბაზოვის პიესებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს აგრეთვე ეროვნული თეატრალური კულტურის წინსვლისა და თანამედროვეობის სცენაზე დამკვიდრებისათვის.

ამ ნიჭიერმა დრამატურგმა პოეზიასა და მხატვრულ პროზაშიც სცადა თავისი კალამი და რამდენიმე საინტერესო ბელეტრისტული ნაწარმოები დაგვიტოვა, რომელთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა რომანი „ფეთხაინი“, მოთხრობები „გელათის ქუჩის დასასრული“ და „შემარისა უკანასკნელი სიტყვა“.

გ. ბააზოვი ავტორია არა ერთი პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილისა, რომელთა დიდი უმრავლესობა თანამედროვეობის საჭირობოროტო საკითხებს ეხება.

გ. ბააზოვის ცხოვრება ნაადრევად და ტრაგიკულად შეწყდა. შეწყდა სწორედ მაშინ, როცა მისი ნიჭი შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში შედიოდა და კიდევ უფრო საყურადღებო მხატვრულ ნიმუშებს გვპირდებოდა.

ნიჭიერმა ქართველმა მწერალმა და დრამატურგმა გერცელ ბააზოვმა საკუთარი წვლილი შეიტანა ქართული საბჭოთა ლიტერატურის ზრდისა და გამრავალფეროვნების საქმეში და ამიტომაც დაიმკვიდრა ადგილი მის ისტორიაში.

გერცელ დავითის ძე ბააზოვი დაიბადა 1904 წლის 28 ოქტომბერს, დაბა ონში, საზოგადო მოღვაწის, დავით მენახემის ძე ბააზოვის (ბააზაშვილის) ოჯახში.

დრამატურგის მამა, — დავითი (1887—1947 წწ), ქართველ ებრაელთა შორის ცნობილ საზოგადო მოღვაწედ ითვლებოდა და დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობდა. ამ ენერგიულმა და ფართოდ განათლებულმა ადამიანმა სლუცკის (ამჟამად ბელორუსიის სსრ, მინსკის ოლქი) ებრაელთა სასულიერო სკოლის დამთავრების შემდეგ, ფართო საზოგადოებრივი საქმიანობა გაშალა. იგი როგორც დელეგატი არა ერთხელ მონაწილეობდა ებრაელთა საერთაშორისო კონგრესებსა და კონფერენციებში. დავით ბააზოვს ურთიერთობა ჰქონდა ბუნდის ხელმძღვანელებთანაც, რომელნიც ანგარიშს უწევდნენ მის სახელსა და საქმიანობას. როგორც ცნობილია, 1903 წელს, ბუნდი, რსდმპ მეორე ყრილობაზე პარტიის შენების ფედერაციული პრინციპის წინადადებით გამოვიდა. ეს წინადადება უარყოფილი იქნა ყრილობის მიერ, როგორც ორგანიზაციული ნაციონალიზმი. ამის პასუხად ბუნდი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან გამოვიდა, რამაც ბუნდის წევრთა შორის წინააღმდეგობა გამოიწვია. დ. ბააზოვი ადრევეც კრიტიკულად იყო განწყობილი ბუნდის თეორიუ-

ლი პრინციპებისა და პრაქტიკული საქმიანობისადმი. ეს კრიტიციზმი თანდათან ძლიერდებოდა. ყოველივე ამის გამო, ბუნდის დაქსაქსვის შემდეგ დავით ბააზოვს საბოლოოდ გული გაუტყდა მასზე, მიატოვა იგი და 1903 წელს, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ონში დასახლდა.

გერცელ ბააზოვმა პირველდაწყებითი განათლება ონში მიიღო. აქ იგი სწავლობდა ონის სამოქალაქო სასწავლებელში, რომელსაც „უმადლეს-დაწყებითი“ სასწავლებელი ერქვა. რევოლუციის შემდეგ მისსავე ბაზაზე გაიხსნა გიმნაზია რვა კლასით. გერცელმა სწავლა ამ გიმნაზიაში განაგრძო (საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ონის გიმნაზია ტექნიკუმად გადაკეთდა), მაგრამ უკანასკნელი კლასი უკვე თბილისში დაამთავრა. თბილისში გერცელი 1922 წლის დამლევს ჩამოვიდა და სწავლა განაგრძო თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის ბაზაზე შექმნილ ქალაქის XI ჰუმანიტარულ ტექნიკუმში, რომელსაც გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, აწაკადემიკოსი გიორგი ასვლედიანი ხელმძღვანელობდა. ეს ტექნიკუმი გ. ბააზოვმა წარჩინებით დაამთავრა 1923 წლის ივნისში.

ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ გერცელ ბააზოვი შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის იურიდიულ განყოფილებაზე, რომელსაც ამთავრებს 1927 წელს. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გერცელი ერთხანს მოსამართლედ მუშაობდა, ხოლო შემდეგ, ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქციის მდივანად. 1928-29 წლებში იგი იყო საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანოს ჟურნალ „საბჭოთა მშენებლობის“ პასუხისმგებელი მდივანი. 1930 წელს იგი შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში და განაგრძობს სწავლას დასავლეთ ევროპის ლიტერატურათა სპეციალობით. ამავე წელს გერცელმა ცოლად შეირთო სოფიო პრუგერი, ამჟამად მედიცინის დოქტორი. ასპირანტურაში ყოფნის დროს გერცელი მივლინებულ იქნა ქ. მოსკოვში, სადაც იმადლებდა სპეციალურ ცოდნას. 1932 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე გ. ბააზოვი პროფესიონალი მწერლის საქმიანობას ეწეოდა.

სულ რაღაც თექვსმეტობდე წელი მუშაობდა იგი ქართული ლიტერატურის ასპარეზზე და ამ ხნის განმავლობაში ათამდე პიესა და რამდენიმე ბელეტრისტული ნაწარმოები შექმნა. მწერლობასთან ერთად იგი გაცხოველებულ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. განსაკუთრებით, ქართველებრაელებში განათლების შეტანისა და მათ შორის კულტურული მუშაობის ხაზით.

1935—1938 წლებში გ. ბააზოვი იყო საქართველოს მწერალთა კავშირის დრამსექციის თავმჯდომარე. გ. ბააზოვის ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა ერთბაშად შეწყდა: 1938 წლის დასაწყისში, როცა გერცელი მოსკოვში მიხოელსთან ერთად მუშაობდა ახალ სპექტაკლზე იგი რეპრესირებულ იქნა და დაიღუპა. ამჟამად, საბჭოთა მართლმსაჯულების ორგანოების მიერ გერცელ ბააზოვი რეაბილიტირებულია და მისმა საინტერესო შემოქმედებამაც კვლავ სათანადო ადგილი დაიკავა ქართული დრამატურგიის ისტორიაში.

* *

ლიტერატურული ნიჭი გერცელ ბააზოვს ადრიაანდ გამოაჩნდა. 13-14 წლის ყმაწვილი იყო იგი, როცა 1918 წელს, ქუთაისის გაზეთში „ებრაელის ხმა“ (რომელშიც აქტიურად თანამშრომლობდა მამამისი), გამოქვეყნდა ჭაბუკი გერცელის პირველი ლექსები.

კიდევ უფრო მეტი ინტენსიობით იწყო მან ლიტერატურული მუშაობა ონის გიმნაზიაში ყოფნის დროს, განსაკუთრებით 1921—22 წლებში, როცა თავის თანაკლასელებთან—აწ საქართველოს სახალხო მხატვარ უჩა ჯაფარიძესა და ცნობილ ქართველ თეატრმცოდნე, პროფესორ დიმიტრი ჯანელიძესთან ერთად გამოსცა სალიტერატურო ჟურნალი „ონი“. ეს ჟურნალი დაიბეჭდა 1922 წელს, ონის ახლად დაარსებულ სტამბაში, რაც იმ დროს დიდი მნიშვნელობის კულტურულ მოვლენას წარმოადგენდა.

ჟურნალის ინიციატორი იყო „ცისფერყანწელი“ პოეტი გრიშა ჯაფარიძე, რომელმაც გარდა თავისი უმცროსი ძმისა.

უჩასი, ლიტერატურულ წრეში მიიზიდა ნიჭიერი ახალგაზრ-
დობა, პირველ რიგში გერცელ ბააზოვი და დიმიტრი ჯან-
ლიძე. გერცელი ამ დროს უკვე საკმაოდ ინტენსიურ ლიტე-
რატურულ მუშაობას ეწეოდა; წერდა ლექსებს და მოთხრო-
ბებს, თარგმნიდა რუს და უცხოელ მწერლებს, აქვეყნებდა
(ქუთაისის გაზეთებში) პუბლიცისტურ წერილებს. ყოველივე
ამას იგი ახამებდა კარგ სწავლასთან და თანაკლასელთა გად-
მოცემით, გიმნაზიაში სწავლის მთელ მანძილზე პირველ მო-
წაფედ ითვლებოდა.

როგორც აღვნიშნეთ, 1922 წლის დამლევს გერცელი
თბილისში გადმოდის და განაგრძობს სწავლას. თბილისში
გადმოსვლის შემდეგ მისი ლიტერატურული საქმიანობა კი-
დეც უფრო გაცხოველდა და გამრავალფეროვნდა. თბილისურ
ქურნალ-გაზეთებში („ტრიბუნა“, „თეატრი და ცხოვრება“,
„მაკაველი“, „გალაკტიონის ქურნალი“, ხოლო შემდეგ
„ქართული, მწერლობა“, „დროშა“, „კომუნისტი“, „ახალ-
გაზრდა კომუნისტი“) მისი მრავალი ლექსი, თარგმანი და
წერილი დაიბეჭდა. 1923 წელს „ტრიბუნაში“, ს. გორგაძის
წინასიტყვაობით გამოქვეყნდა გ. ბააზოვის მიერ ძველი
ებრაულიდან თარგმნილი მთელ მსოფლიოში სახელმძღვანელო
და ძველთაძველი ძეგლი „გალობათა გალობა“, რომელიც
1927 წელს ს. გორგაძის რედაქციით ცალკე წიგნადაც გამო-
იცა. ამის შემდეგ გ. ბააზოვი სულ უფრო და უფრო ცნო-
ბილი ხდება და მალე ნიჭიერი დრამატურგისა და საინტერე-
სო ბელეტრისტის სახელს იმკვიდრებს.

თუმცა გ. ბააზოვმა ლიტერატურული მოღვაწეობა პოე-
ზიით დაიწყო, მაგრამ როგორც თანდათან ცხადი შეიქნა, ამ
უცილოდ პოეტური ბუნების ადამიანის შემოქმედებით სტი-
ქიას დრამატურგია და პროზა წარმოადგენდა. მისმა მხატვ-
რულმა ნიჭმა განსაკუთრებით ამ ორ დარგში იჩინა თავი და
ამიტომ იყო, რომ მან სერიოზული შემოქმედებითი მუშაობა
სწორედ დრამატული მწერლობისა და ბელეტრისტიკის ჟან-
რებში წარმართა.

პოეზია ეპიზოდად დარჩა გერცელის სამწერლო ბიოგრა-

ფიაში, მაგრამ მეტად მეტყველ და საგულისხმო შემოქმედებით საფეხურად.

გ. ბააზოვის პოეტური ნიმუშებიდან საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მსოფლიო პოეზიის ერთ-ერთი შედეგის, უკვდავი ებრაული პოემა-პასტორალის „გალობათა გალობის“ ქართული თარგმანი. ქართული ლექსის ცნობილი მკვლევარი ს. გორგაძე, რომელიც ეხმარებოდა გერცელს პოემის გადმოქართულებაში, აღნიშნავდა: „ეს პოემა ყველა თანამედროვე კულტურულ ენაზეა ნათარგმნი. ღღემდე ჩვენ მისი მხოლოდ ძველი თარგმანები მოგვეპოვებოდა, და, როგორც საფიქრებელია, არა პირდაპირ ებრაული დედნიდან. ამიტომ უღრმესი მადლობის ღირსია ახალგაზრდა მგოსანი გერცელ ბააზოვი, რომელმაც იტვირთა ამ პოემის გადმოღება პირდაპირ ებრაულიდან თანამედროვე ქართულ ენაზე“. უნდა ითქვას, რომ გერცელის მიერ კარგად შესრულებულმა ამ პოეტურმა თარგმანმა უფრო დიდი გამოხმაურება ჰპოვა, ვიდრე მისმა ცალკეულმა ორიგინალურმა ლექსმა. „გალობათა გალობის“ გადმოქართულება გ. ბააზოვის პოეტური საქმიანობის ერთი ყველაზე საყურადღებო მონაპოვარია.

გარდა ლექსებისა გ. ბააზოვმა ოციან წლებშივე გამოაქვეყნა რამდენიმე პროზაული თხზულება (მოთხრობა, ნარკვევი) და კრიტიკულ-პუბლიცისტური ხასიათის წერილი. მისი ერთ-ერთი პირველი ბელეტრისტული ნაწარმოებია ისტორიული მოთხრობა „ალვარ როდრიგო“, რომელიც 1924 წელს გაზეთ „მაკაველში“ დაიბეჭდა.

„ალვარ როდრიგო“ გ. ბააზოვის პირველი მოზრდილი პროზაული თხზულებაა. უნდა ითქვას, რომ ამ დროს გერცელი ოცი წლისაც არ იყო და არც შემოქმედებითი გამოცდილება ჰქონდა დიდი. მიუხედავად ამისა, ეს ნაწარმოები სინტერესო თხრობით გამოირჩევა და სიუჟეტურადაც მიმზიდველია. მართალია, „ალვარ როდრიგოს“ ჯერ კიდევ გაუწაფავი მწერლის ხელი ატყვია, მასში არა ერთი ხელოვნური სიტუაცია და მიაშიტური ინტრიგაა, ენაც ერთფეროვანი და ნაკლებ მეტყველია. (აშკარა სინტაქსურ-მორფოლოგიური შეცოდებებით), მაგრამ ავტორი გულწრფელობისა და მღელ-

გარების წყალობით, მაინც ახერხებს დაგვინტერესოს თავის გმირთა ბედით.

ოციანი წლების მეორე ნახევრიდან გ. ბააზოვის შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მუშაობა კიდევ უფრო მრავალფეროვანი და ინტენსიური ხდება. პოეზიისა და პროზის პირველ ნიმუშებს ემატება დრამატურგიული ცდები. ამ მხრივ, გერცელისათვის მეტად სასარგებლო აღმოჩნდა შემოქმედებითი კავშირი ებრაელთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლასთან ჩამოყალიბებულ დრამატულ დასთან — „კადიმასთან“, რომლის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი თვით გერცელი იყო. სწორედ „კადიმამ“ დადგა პირველად გ. ბააზოვის აღრეული დრამატული ნაწარმოებები, რომელთაც საფუძველი მოუშადაც და სტიმული მისცეს მის დრამატურგიულ მოღვაწეობას. 1925 წელს ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“¹ სათეატრო მიმოხილვაში გვამცნობდა, რომ: „ქართველ ებრაელთა დრამკოლექტივმა „კადიმამ“ თებერვლის 11 წარმოადგინა გერც. ბააზოვის ახალი ორიგინალური ისტორიული ტრაგედია „საიდუმლო ბინა“ (ეს პიესა ცნობილია სხვა სახელითაც „ნადვების ვაკე“ გ. ც.) ხუთ მოქმედებად, XV საუკუნის ესპანეთის ებრაელთა ცხოვრებიდან. აღმასრულებელთაგან ყურადღებას იპყრობდნენ დ. ბააზოვის ქალ-ვაჟნი ფანია (მარიაშ) და ხაიმი (ფედრო)“.

უნდა ითქვას, რომ „კადიმამ“, რომლის საქმიანობაშიც უპირველეს როლს თამაშობდნენ თვით დ. ბააზოვი და მისი ოჯახის წევრები — გერცელი, ფანია, ხაიმი, მეტად დიდი და სასარგებლო როლი ითამაშა ქართველ ებრაელთა კულტურული გათვითცნობიერების საქმეში, რელიგიური ფანატიზმისა და ზოგიერთი დრომოქმულ წესჩვეულებათაგან დახსნის, მათი ახლებურად აღზრდისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმის თვალსაზრისით. რამდენიმე სიტყვით შევეხებით მას, რამდენადაც ეს კულტურული წამოწყება მნიშვნელოვანიცაა და ჯეროვნად შეუფასებელიც.

¹ ჟ. თეატრი და ცხოვრება. 1925 წ. № 5

„კადიმა“ (კადიმა — ებრაულად წინსვლას ნიშნავს) 1924 წელს ჩამოყალიბდა. პირველი დადგმები მან 1925 წლის დასაწყისში უჩვენა მაყურებელს. პრემიერად წარმოადგინეს მეკლერის დრამა „ხასა გივაში“. (თარგმანი ძველებრაულიდან ნათან ელიაშვილისა) დასს რეჟისორობდა ცნობილი ქართველი თეატრალური მოღვაწე და რეჟისორი დ. ანთაძე, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ამ დრამწრის ნაყოფიერი საქმიანობისათვის.

„კადიმას“ სპექტაკლებს წინ უსწრებდა ერთი საგულისხმო ფაქტი — ეს იყო ქართველ ებრაელთა 102-ე შრომის სკოლის და წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სასწავლებლის მოწაფეთა საღამო. სწორედ ამ სასწავლებლების მსმენელთაგან ჩამოყალიბდა დრამატული დასი „კადიმა“. ამ პირველ სალიტერატურო საღამოს შესახებ იოსებ იმედაშვილი (არამითიელის ფსევდონიმით) ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ სიხარულით წერდა, რომ ეს არის ქართველ ებრაელთა პირველი ნაბიჯი კულტურის ფრონტზე და მხურვალედ მიესალმებოდა რა მას, აღნიშნავდა: „ამ კულტურული მუშაობის ერთმა სულისჩამდგმელთაგანმა, გერცელ ბააზოვმა, თავის მშვენიერ სიტყვაში განაცხადა: — თქვენს წინ წარმოსდგებიან ისინი ვინც ამ ორი კვირის წინ ანი და ბანი არ იცოდნენ“.

გ. ბააზოვის პირველი პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები გამოქვეყნდა 1920 წელს გაზეთ „ტრიბუნაში“. გარდა გაზეთებისა „ტრიბუნა“ და „მაკავეელი“ (სადაც გერცელის რამდენიმე მხატვრული ნაწარმოები და წერილი გამოქვეყნდა) გ. ბააზოვის პუბლიცისტური სტატიები იბეჭდებოდა ჟურნალებში — „დროშა“, „თეატრი და ცხოვრება“ და „ქართული მწერლობა“.

გ. ბააზოვი თავის წერილებში მკვეთრად ემიჯნებოდა, როგორც ებრაულ ნაციონალიზმს, მისი კარჩაკეტილობითა და „პანისრაილიზმით“, ასევე ებრაელი ხალხის ასიმილაციის ყოველგვარ ტენდენციებს, საიდანაც არ უნდა გამომდინარებოდნენ და რა საფუძველსაც არ უნდა ეფუძნებოდნენ



ისინი. გ. ბააზოვი სწორად ფიქრობდა, რომ ხალხთა ძმურ
ოჯახში, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა და
რომლის უდიდეს როლსაც კაცობრიობის ისტორიაში იგი
ყოველთვის ხაზს უსვამდა, სხვა სრულუფლებიან ერებ-
თან ერთად არსებობის უფლება აქვს ებრაელ ერსაც, ვისმა
შრომისუნარიანობამ და ნიჭმა არა ერთი გენიალური ადა-
მიანი მისცა მსოფლიოს და არა ერთი საშვილიშვილო საქმის
დამწყებად მოგვევლინა.

ოცდაათიანი წლების დასაწყისშივე „დილლემარის“ შემ-
დეგ გ. ბააზოვი მხატვრულ პროზაზე იწყებს მუშაობას და
ზედიზედ აქვეყნებს თავის ცნობილ ბელეტრისტულ ნაწარ-
მოებებს „გელათის ქუჩის დასასრული“ „შემარიას უკანას-
კნელი სიტყვა“ და „ფეთხანი“ (ცალკე თავები იბეჭდებოდა
1932-34 წლებში, წიგნად გამოვიდა 1935 წელს). მართალია,
ამ ნაწარმოებებს წინ უძღოდა მოთხრობები „ალვარ როდ-
რიგო“, „ოქროს საათი“ და რამდენიმე მცირე ფორმის პრო-
ზაული თხზულება, მაგრამ გ. ბააზოვის პროზის იდეურ-
მხატვრული შეფასებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა
მაინც მათ ენიჭება. ამიტომ, გ. ბააზოვის პიესების განხილ-
ვამდე მათზე შევჩერდებით.

1929 წელს მოსკოვში სწავლის პერიოდში გ. ბააზოვი
ამთავრებს თავის პირველ მოზრდილ მოთხრობას „გელათის
ქუჩის დასასრული“. ეს არის მართალი სურათი ქართველ
ებრაელთა ცხოვრებისა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების
წინააღმდეგ და საბჭოთა ხელისუფლების პირველ დღეებ-
ში, როცა ებრაელ მოსახლეობას შრომისა და ყოფის ახალი
პერსპექტივები გადაეშალა. ავტორი სადად, მაგრამ დიდი
შინაგანი მღელვარებით მოგვითხრობს პირადად ნახულსა და
განცდილ დროზე, როცა მის თანამოძმეთა განაწამები ყოფა,
სოციალური და ნაციონალური ჩაგვრა სოციალისტური თანას-
წორუფლებიანობით შეიცვალა და ებრაელმა მშრომელმა
მასამ თავისუფლება იგრძნო. მოქმედების დროული ლოკალი
1920-21 წლებით იფარგლება.

ამ მოთხრობის ლიტერატურულ-ისტორიული მნიშვნელო-

ბა იმაში მდგომარეობს, რომ ესაა პირველი ნაწარმოები ქართულ პროზაში, რომელიც ქართველ ებრაელთა ცხოვრებას ასახავდა და მათი ყოფის რევოლუციური გარდაქმნის პროცესებში გვახედებდა. ნაწარმოები ცოცხალი სინამდვილისა და ისტორიული ძვრების უშუალო ზემოქმედებითაა დაწერილი და მისი პათეტიკაც სწორედ აქედან გამომდინარეობს. ავტორს მოთხრობაში არა ერთი ავტობიოგრაფიული დეტალი ჩაურთავს და ზოგიერთი თავისი პუბლიცისტური წერილების ლეიტმოტივი თხრობის ლირიკულ შენაკადად უქცევია. ყოველივე ეს კიდევ უფრო აძლიერებს ნაწარმოების დოკუმენტალურ ხასიათს და ამიტომაც, რომ იგი ქუთათელ ებრაელთა გარკვეული პერიოდის თავისებურ მხატვრულ ქრონიკად გვევლინება და დამაჯერებლობითაა აღბეჭდილი (ზოგიერთი აშკარად ხელოვნური სიუჟეტური სვლის მიუხედავად).

მხატვრული ფორმის თვალსაზრისით ეს ნაწარმოები არ გამოირჩევა. თხრობის ტრადიციული გზით გადმოცემულია ქუთათელი ვაჟრის, რეუბენ კაკიაშვილის და მისი შვილების ცხოვრების ამბავი, რაც ბურჟუაზიული ოჯახის რღვევის სიმბოლურ სურათად გვევლინება. მართალია, აქ არ გვაქვს ხასიათების ღრმა ფსიქოლოგიური გახსნა, მათი ენობრივი დახასიათებით, პერსონაჟთა მდიდარი ინდივიდუალიზაცია და ის ქმედითი ემოციონალობა, რომელიც გერცელის მოგვიანო ნაწარმოებებისთვისაა დამახასიათებელი (მაგალითად მისი შესანიშნავი მოთხრობისათვის „ნიკანორ ნიკანორიჩი“), მაგრამ ხასიათების შინაგანი სიმართლე (მათი სქემატურობის მიუხედავად), გადმოცემულ სიტუაციათა დიდი უმრავლესობის ცხოვრებისეულობა, კარგად გვახედებს ასახულ მოვლენებში. ამიტომ არ მიგვაჩნია მართებულად ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში გამოთქმული აზრი, ვითომც ამ მოთხრობაში სინამდვილის ზედაპირულ ასახვასთან გვექონდეს საქმე.

მოთხრობის სიუჟეტური ქარგა ასეთია: მოძმეთა ძარცვა-გლეჯვით გამდიდრებული ქუთაისელი ვაჟრის, რეუბენ კაკიაშვილის ოჯახში შფოთი ამტყდარა. უმცროსი შვილი,

ლევია, მამის საწინააღმდეგოდ მოქმედებს. იგი მეგობრობს ლარიბთან შვილებთან, ყოველნაირად ეხმარება მათ და ჩაგრულთა მიმართ სიმპათიით გამსჭვალული, მამის ჩარჩულ საქმიანობას აშკარად გმობს. თავის განუყრელ მეგობრებთან, ებრაელ ნეთანელთან და ქართველ ლევანთან ერთად, იგი ადგილობრივ გაზეთში გამოაქვეყნებს მამხილებელ წერილს ებრაული ოლიგარქიისა და რელიგიური ფანატიზმის წინააღმდეგ. მამა-შვილის კონფლიქტი თანდათან ძლიერდება და რეუბენი ლევის სახლიდან გააძევებს. ლევი ლევანთან შეაფარებს თავს, სადაც გაიცნობს იატაკქვეშელ ბოლშევიკს ამხანაგ ვასილს. გამოდგება, რომ ლევანი კომუნისტებს თანაუგრძნობს. მასთან საუბრის შემდეგ ლევი ერთბაშად გადასწყვეტს თავის ბედს და რუს კომუნისტს ჩრდილო კავკასიაში გაჰყვება, რათა უშუალოდ ჩაებას თავისუფლებისათვის ბრძოლაში. გაივლის შვიდი წელიწადი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდება. ლევანი ადგილობრივი ხელისუფლების ერთი ხელმძღვანელთაგანი გახდება. ნეთანელი კი ღარიბ ებრაელობაში კულტურის შეტანის საქმეს მეთაურობს. ავტორი გვიჩვენებს კლასობრივი მტრების მავნებლურ საქმიანობას. ვაჭარი და მევახშე ვანო, რომელმაც ნეთანელის მამის სიკვდილის შემდეგ კინალამ დააქცია მისი ოჯახი, პროვოკაციას მოუწყობს ნეთანელს, მაგრამ მეგობრები იხსნიან მას. ნეთანელი მწერლობას იწყებს. მოთხრობაში ნაჩვენებია როგორ ძლევენ ღარიბი ებრაელები ხახმებისა და მდიდარი ებრაელების წინააღმდეგობას, რა ენთუზიაზმით ებმებიან ახალი ცხოვრების ფერხულში და როგორ მიიღტვიან სწავლავანათლებისაკენ. ლევი კი ბათუმში მუშაობს. რეუბენის ოჯახის საქმე უკან მიდის. მას ცოლ-შვილი დაეხოცება და მოხუცი საშემშობლოდაა განწირული. ამ დროს ებრაელთა უდიდეს უბანს ქუთაისში—გელათის ქუჩას—ხანძარი მოედება. დატრიალდება უდიდესი ტრაგედია (ეს ისტორიული ფაქტია). ხანძრის სურათი ავტორს მეტყველად აქვს გადმოცემული. ხალხის შველის საქმეში უდიდეს სიმამაცეს გამოიჩენენ ლევანი, ნეთანელი და ლევი, რომელიც სახანძრო რაზმს ხელმძღვანელობს. ხან-

ძარში მოხვედრილი რეუბენი მისი მხსნელი შვილის ხელზე კვდება.

„გელათის ქუჩის დასასრული“ (გელათის ქუჩა გეტოს თავისებური ალგორითა) ებრაელთა ძველი ყოფის დასამარებისა და ახალი ცხოვრების დასაწყისის სიმბოლოა. აქი ამიტომაც უწოდა ნაწარმოების ერთ-ერთმა მთავარმა გმირმა ნეთანელმა თავის პიესას ეს სახელი. „ჩვენ ამ უბედურებას (ე. ი. ხანძარს. გ. ც.) გადავაქცევთ ბედნიერებად, — ამბობს ლევი, — გელათის ქუჩის ნაცვლად გავაშენებთ ახალ ქუჩას — და რასაც ჩვენ გავაშენებთ, იმას ცეცხლი ვეღარ დასწავს...“

ნაწარმოებში ამკარად იგრძნობა ორი მტრული ბანაკი. ერთის მხრივაა ჩარჩ-ვაჭრები რეუბენი, ვანო და რაეინები, მეორე მხრივ კი ღარიბი მშრომელი ებრაელობა და მისი ქომაგები, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან ნეთანელი, ლევი და ლევანი. ავტორი გვიჩვენებს ებრაული მოსახლეობის სოციალურ დიფერენციაციას და კლასთა ბრძოლას მის სხვადასხვა ფენებს შორის.

ნეთანელთან დაკავშირებული ზოგიერთი ეპიზოდი ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. ასეთია, მაგალითად, ნეთანელის სწრაფვა ებრაულ მოსახლეობაში სწავლა-განათლების შეტანისაკენ და მისი აზრები ამ საკითხზე, რომელნიც ემთხვევიან გერცელის პუბლიცისტური წერილების მთელ რიგ დებულებებს. ნეთანელის მთელი რიგი აზრები საოცრად გვანან თვით გერცელის შეხედულებებს ამ საკითხზე (მსჯელობა 14 აღარზე, კულტმასიურ მუშაობაზე, დამფუძნებელი კრების ებრაელ დელეგატზე და სხვ.). ავტობიოგრაფიული ხასიათი აქვს ნეთანელის მიერ დრამწრის ჩამოყალიბებას (ნეთანელის დრამწრესაც „წინსვლა“ ჰქვია) და ამ დრამწრისათვის პიესის დაკვეთის ეპიზოდს (როგორც თვით გერცელი წერდა „კადიმისათვის“) და სხვა. მაგრამ უხეში შეცდომა იქნებოდა ნეთანელის ავტორთან გაიგივება, ან ამ მხატვრულ ხასიათში „ლირიკული გმირის“ დანახვა. ამ შემთხვევაში — როგორც ეს ხშირად ხდება სინამდვილის ამსახველ რეალისტურ ნაწარმოებში, და ეს მოთხრობა კი სწორედ ამგვარია — გვაქვს



ავტორის მიერ პირადად განცდილის მასალობრივი გამოყენება.


K259.069
3

ოციანი და ოცდაათიანი წლების ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ დადებითად შეაფასა გ. ბააზოვის ეს ნაწარმოები. მაგრამ კრიტიკული შენიშვნები მრავლად იყო. განსაკუთრებით მკაცრად გამოვიდა კრიტიკოსი ალ. არსენიშვილი¹, რომლის ცალკეული მართებული შენიშვნები ვერ ჩქმალავდნენ რეცენზენტის ტენდენციურ შეცდომებს და ვულგარული სოციოლოგიზმის აშკარა რეციდივებს. აკი ამიტომაც, გერცელმა სათანადო პასუხი გასცა მას². რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ „გელათის ქუჩის დასასრული“ დაზღვეულია ნაკლოვანებებისა და ხარვეზებისაგან. გარდა ხასიათების სქემატურობისა და საერთოდ მხატვრული ფორმის სიმჭრალისა, უნდა აღინიშნოს აშკარად ხელოვნური, ან ნაძალადევი ეპიზოდები, აი ზოგიერთი მათგანი: ლევი „უეცრად“ გადაკვალიფიცირდება მეხანძრედ, რათა ხანძარი სწორედ მან ჩააქროს და მამამისი გადაარჩინოს; კონტრაბანდისტებში ისაკიც ურევია, რათა ძმის გასამართლებამ ცხადყოს რევოლუციური კანონიერების უღმობელობა. და სხვა ამგვარი.

1931 წელს გ. ბააზოვმა ცალკე წიგნად გამოაქვეყნა თავისი ცნობილი მოთხრობა, „შემარიას უკანასკნელი სიტყვა“. თუ „გელათის ქუჩის დასასრულში“ მან საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის სურათი დაგვიხატა და სოციალისტური სინამდვილის პირველ დღეებში ქართველ ებრაელთა ცხოვრება აგვიწერა, ამ ნაწარმოებში მან „მეორე რევოლუციის“, — საკოლმეურნეო მშენებლობისა და ღარიბი ებრაელობის შრომაში ჩაბმის ჩვენება განიზრახა. როგორც ვხედავთ, გ. ბააზოვი-ბელეტრისტი ისტორიული სინამდვილის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს შეეხო და ამდენად თავისი მხატვრული პროზა საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარი საკითხების ასახვისაკენ წარმართა.

¹ სალიტერატურო გაზეთი, 1932 წ., № 18.

² იხ. სალიტერატურო გაზეთი, 1933 წ., № 26.



„შემარიას უკანასკნელი სიტყვა“ მხატვრული თვალსაზრისით გაცილებით უფრო დახვეწილი და მეტი ოსტატობით შესრულებული ნაწარმოებია, ვიდრე გერცელის მიერ ყველა მანამდე დაწერილი პროზაული ნიმუში. აქ აშკარად ჩანს გაზრდილი ექსპრესია, ორიგინალურად გააზრებული პასაჟები, ლექსიკურად გამდიდრებული ენა. ცივი მომთხრობელობის მაგიერ ხშირად ვხვდებით მეტყველ დიალოგს და ამ ნაწარმოების მხატვრული ხასიათებიც უფრო კარგად არიან გამოკვეთილი. იგრძნობა ფსიქოლოგიური მოტივირების უნარი და პერსონაჟთა „შიგნიდან“ გახსნისაკენ სწრაფვა, რაც თუმცა არაა მიღწეული, მაგრამ აქ პერსონაჟები უცილოდ უფრო მართალი, ცოცხალი და ბუნებრივი მოჩანან, ვიდრე გერცელის პირველ ბელეტრისტულ თხზულებებში.

ისევე როგორც „გელათის ქუჩის დასასრული“ ეს ნაწარმოებიც მძაფრ კონფლიქტზეა აგებული. კონფლიქტი კლასთა ბრძოლითაა გაპირობებული. ერთმანეთს უპირისპირდებიან ვაჭარი შემარია შაფთოშვილი და ოდესღაც მისი უსიტყვოდ მორჩილი, ღარიბ-ღატაკი ებრაელი ქაბუკი მიშაელ თეთრუაშვილი. ავტორმა მართალია მქრალად, მაგრამ მაინც გვიჩვენა ხასიათის ევოლუცია და ახალი საბჭოთა ადამიანის ფორმირება. ვხა, რომელიც მიშაელ თეთრუაშვილმა განვლო, დაჩაგრული, უსიტყვო, მშვიერ-მწყურვალ ადამიანიდან, — სოციალიზმისათვის მტკიცე მებრძოლამდე და საკოლმეურნეო მშენებლობის გულდაჯერებულ აქტივისტამდე, — მრავალი მშრომელი ებრაელის ტიპური ვხაა. თუ „გელათის ქუჩის დასასრულში“ სიუჟეტი პირველობდა და მოქმედების განვითარების დინამიკა, მისი გარეგნული მხარე შინაარსის გამოვლინების მთავარი საშუალება იყო, აქ მხატვრული ხასიათები მეტ გარკვეულობას, დასრულებულობას და გამოკვეთილობას იძენენ. ასეთია, პირველ რიგში, ორი დაპირისპირებული ძალის, შემარიას და მიშაელის სახეები და მიშაელის იდეური აღმზრდელის, სერგო იაშვილის სახე, რომელმაც ახალ აზრებსა და ახალ ცხოვრებას აზიარა მიშაელი. მოთხრობის მთავარ ეპიზოდად ებრაელთა სამიწადმოქმედო არტელის ჩამოყალიბება გვევლინება. იაშვილის მიერ გათვითცნობიერებუ-

ლი მიშეღი სათაფეში ჩაუდგება ებრაელთა კოლექტივს, შე-
მოიკრებს მასავით ღატაკ ებრაელობას და დაიწყება ახალი
ცხოვრების შენება. ამას ხელს ვერ შეუშლის ვერც კლასობ-
რივი მტრის და მისი დამქაშების გააფთრებული წინააღმდე-
გობა, ვერც დაუსრულებელი პროვოკაციები. მართალია, ბო-
როტი შემარია მოახერხებს კოლექტივის შენობებისათვის
ხანძრის გაჩენას, ერთ-ერთი კოლმეურნის, არონის, გადაბი-
რებას, (იგი მას მკვლელად მიუჩენს მიშეღს), შესძლებს ამ
უკანასკნელისათვის მკვლელობის დაბრალებას და დროებით
ციხეში დამწყვდევს. მაგრამ საბოლოოდ ღარიბ ებრაელთა
დახმარებით და საკოლმეურნეო აქტივის სიფხიზლის წყალო-
ბით ყველა მისი ფანდი მხილებულ იქნება და იგი სასამართ-
ლოს გადაეცემა როგორც პროვოკატორი, დივერსანტი და და-
უძინებელი კლასობრივი მტერი. საბოლოო სიტყვას, რომელსაც
შემარია სასამართლო პროცესზე ბოღმით წარმოსთქვამს —
„კოლექტივი იმარჯვებსო“ — ახალი ცხოვრების ძღვევამო-
სილობის მაუწყებელია და მით უფრო ძალუმაღ ყღერს,
რამდენადაც მტრის აღიარებას წარმოადგენს.

ხელოვნურობისა და ტრაფარეტებისადმი ხარკი ამ ნაწარ-
მოებშიც მოიხანს, მაგრამ მან თავის დროზე მაინც დიდი
როლი ითამაშა ქართველ ებრაელთა შორის ახალი ცხოვრე-
ბის პოპულარიზაციისა და შრომით საქმიანობაში მათი ჩაბ-
მისათვის.

ზემოგანხილული ორი მოთხრობის შემდეგ გ. ბააზოვი
აქვეყნებს თავის ერთ ყველაზე უფრო ექსპრესიულ ნაწარ-
მოებს „ნიკანორ ნიკანორიჩ“¹. ნოველისტური ტიპის ეს მოთ-
ხრობა თავისი მოცულობით სულ რაღაც ათიოდე გვერდია,
მაგრამ სიმცირის მიუხედავად დიდი მხატვრული ძალით.
შთამბეჭდაობითა და ემოციონალურობით გამოირჩევა. შეიძ-
ლება ითქვას, რომ გ. ბააზოვის პროზაულ თხზულებათა შო-
რის, იგი ყველაზე ქმედითი და ამადელვებელია. ნამდვილი
ლაკონიზმი, დიდი დახვეწილობა, საოცარი სიმართლე და კო-
ლორიტი, მკვეთრი გამომეტყველი სტილი და ხატოვანება,

¹ სალიტერატურო გაზეთი, 1932 წ., № 10.

დღემდე თითქმის უცნობ ამ ნაწარმოებს საუკეთესო ქართულ მოთხრობათა რიგში აყენებს.

სიუჟეტური ქარგა მას არცთუ რთული აქვს, და სიუჟეტით იგი ვერც შეფასდება. ამ მოთხრობაში მთავარია ხასიათების ფსიქოლოგიური სიმართლე და ის დიდი ცხოვრებისეულობა, რომელიც მოთხრობას მოსდგამს. ნაწარმოებში გადმოცემული ამბავი ოციანი წლების დამლევს ხდება მოსკოვში. ქალაქის ერთ-ერთ წყნარ შესახვევში ცხოვრობს რიგელი მეჩექმე, ვინმე ვლადიმეროვი, რომელსაც ყველანი ნიკანორ ნიკანორიჩად იცნობენ. იგი განთქმულია ლოთობით და გაუთავებელი დებოშებით. ნიკანორიჩი მეოთხე ქმარია კარგად შენახული სქელი დედაკაცისა, რომელსაც დღეში რამდენჯერმე სცემს. მეზობლებს სძულთ ეს ყოველმხრივ ანტიპატური ადამიანი. სახლის მდგმურები, მათ შორის, აქტივისტები — კომკავშირელი მარგოლინა და ომის ინვალიდი ნემცოვი ბევრს ეცადნენ ნიკანორიჩის „აღზრდას“, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს. თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს: მოსკოვში დროებით მოსახლე „ავტორი“ ნიკანორიჩის მდგმურია. იგი გაეცნობა და დაუახლოვდება მიმზიდველ ქალიშვილს, მარგოლინას, რომელიც მოუყვება მას თავის თავგადასავალს. მარგოლინა ებრაელი ქალიშვილია. იგი უკრაინიდანაა სასწავლებლად ჩამოსული. სამოქალაქო ომის დროს შავრაზმელმა ბანდიტებმა მისი ოჯახი აიკლეს და მშობლები წამებით მოუკლეს. ერთ-ერთმა მათგანმა მამამისის სხეულზე თავისი სახელი ამოკვეთა — „ვასკა გრომკობოვე“. ამ სახელის გახსენებაზე ქალიშვილს თმები ყალყზე უდგება. ერთ დღეს ნიკანორიჩი ჩვეულებრივზე მეტად დათვრა. მან აჩვენა მეზობლებს თავისი ძველი სურათი, სადაც იგი დენიკინელი ჯარისკაცის ფორმაშია გადაღებული, წმინდა გიორგის ჯვრებით შემკული და ამაყად გადმოხნეჭილი გულ-მკერდით. ნიკანორიჩმა სმა ჩვეული დებოშით დაამთავრა. როცა მეზობლებმა მილიციას უხმეს, გრძნობადაკარგულ ნიკანორიჩს ეს სურათი გადმოუვარდა და მარგოლინამ მასზე სწორედ ის სახელი, ამრიგითხა რომელიც ქალიშვილს სიცოცხლეს უმწარებდა, მისი ოჯახის ამომწყვეტი ვასკა გრომკობოვეისა.

~~K115 725
B~~

F 85.763
3



ს. თაყაიშვილი—ნაყოში „მუნჯები
ალაპარაკდენ“.





ე. ანუჯაფარიძე—მეორეში „მუნჯები აღაპარაკდნენ“.

ამ მოთხრობაში ნამდვილი ოსტატის ხელი მოჩანს. სისადავე, სიღრმე, სიმართლე და სურათოვნება, ორიოდე სიტყვით ბევრის თქმის უნარი. თხრობაში მრავალი ძუნწი, მაგრამ მეტყველი დეტალია ჩართული. ავტორი ნიუანსირების ნიჭს იჩენს და გაკვირვებით შემთავრებული სურათის ხატვის უნარს ამჟღავნებს. ამ ნაწარმოებმა ღირსეული ადგილი უნდა დაიჭიროს მწერლის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში.

რომანი „ფეთხანი“ წარმოადგენს გერცელ ბააზოვის არა მარტო ყველაზე დიდ ეპიურ ტილოს, ფართე შემოქმედებითი ამოცანებით და ვრცლადმხედველი პანორამით, არამედ იგი, მხატვრულ-ლიტერატურული თვალსაზრისითაც, ერთი ყველაზე დახვეწილი და საინტერესო ნაწარმოებია მწერლის შემოქმედებით პრაქტიკაში. ამ რომანს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გ. ბააზოვის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში. ავტორს იგი ტრილოგიად ჰქონდა ჩაფიქრებული; „ფეთხანის“ გამოქვეყნებული წიგნი ამ მომავალი და სამწუხაროდ დაუსრულებელი ტრილოგიის პირველი წიგნია. გ. ბააზოვს ტრილოგიაში მიზნად ჰქონდა დასახული ქართველ ებრაელთა თანამედროვე ყოფის მთლიანი სურათის დახატვა, მათი ყოფაცხოვრების თავისებური მხატვრული მათიანეს შექმნა, ქართველ ებრაელთა ყველა წრისა და ფენის, ყველა კუნჭულისა და მხარისათვის შუქის მოფენა და ასახულისადმი შემფასებლური, აქტიური, გარდამქმნელ-დამრავმელი მიზანდასახულობით მიდგომა. ცხოვრების ეს სპეციფიკური მხარე მას იზიდავდა არა მარტო როგორც მხატვარს, არამედ, როგორც მსაჯულსა და პარტიულად დაინტერესებულ მოქალაქეს, მოღვაწეს და პატრიოტს. მართალია, ავტორს არ დასცალდა ამ რთული შემოქმედებითი ჩანაფიქრის ბოლომდე დასრულება და მხოლოდ ერთი პირველი წიგნი დაგვიტოვა, მაგრამ ისიც საკმარისია, რათა შეგვეძლოს მსჯელობა გერცელზე, როგორც რომანისტზე და ცხოვრებისეული მასალის იმ ორიგინალურ გააზრებაზე, რაც გერცელს, როგორც მწერლის მხატვრულ თავისებურებებს განაპირობებს.

რომანი „ფეთხანი“ 1932—33 წლებში იწერებოდა. მისი

ცალკეული ქვეთავები ოცდაათიანი წლების დასაწყისში ვა-
მოქვეყნდა თბილისურ ჟურნალ-გაზეთებში, ხოლო მთლიანად
რომანი პირველად 1935 წელს დაიბეჭდა „სახელგამის“ მიერ.
ამავე ხანებში ითარგმნა იგი რუსულ ენაზე, პავლე დადვადის
მიერ, და გამოიცა მოსკოვში ვიქტორ გოლცევის რედაქტო-
რბით.

ფეთხაინი — სიმბოლური სათაურია. ფეთხაინის ქუჩა თბი-
ლისში (ისევე როგორც გელათის ქუჩა ქუთაისში) ქართველ
ებრაელთა ტრადიციული უბანი იყო და თავისებურ გეტოს
ემსგავსებოდა. ფეთხაინი (ძველ ებრაულად ბეთ-ხაიმი) „სი-
ცოცხლის სახლს“ ნიშნავს, სინამდვილეში კი სასაფლაოს ეწო-
დებოდა. რელიგიური ფანატიზმით შებოროტილი ეს კუთხე, რე-
ვოლუციამდე, მართლაც, სასაფლაოს წარმოადგენდა, სადაც
დამარხული იყო თავისუფლების, განათლების, თანასწორობი-
სა და პროგრესის იდეალები. ისევე როგორც გელათის ქუჩის
დასასრული, ფეთხაინიც ძველი ცხოვრების დასამარების სიმ-
ბოლოდ დასახა მწერალმა. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა
მისივე სიტყვები რომან „ფეთხაინის“ შემოქმედებითი ისტო-
რიის შესახებ: „Петхаин держал в цепях тысячи людей
и всячески препятствовал им к освоению новой жизни.
Многие молодые попали в петхаинскую паутину и среди
них Натан Джанашвили, который шагает — правда —
тяжелыми и противоречащими шагами, все же наконец
придет и основательно соединится с теми борцами, ко-
торыми руководит коммунист Шаул Атанелишвили. Свой
роман Петхаин я писал в продолжении пяти лет и не
одной минуты не сомневался, что если твой герой, в
1923 году еще не разбирался в тропинках правды, то
пройдет некоторое время и он ее обретет“. Когда за-
кончу начатые пьесы, я вновь вернусь к героям „Петха-
ина“, с которыми я распрощался в 1923 году. Я должен
во второй книге проверить своих героев деле освоения
нашего радостного сегодняшнего дня“.

რომანის მოქმედება საქართველოში საბჭოთა ხელისუფ-
ლების პირველი ორი წლის მანძილზე იშლება. ნაწარმოების

ცენტრალური პერსონაჟია ღარიბი ებრაელი მეწვრილმანეს ოჯახიდან გამოსული ნათან ჯანაშვილი. იგი პატარა პროვინციული დაბიდან თბილისში სასწავლებლად ჩამოვიდა, რათა ცხოვრებაში „გზა გაიკვლიოს“ და „კაცი დადგეს“. ავტორი დამამახსოვრებლად მოგვითხრობს ნათანის ღარიბ ბავშვობასა და იმ ვაჭირვებაზე, რომელიც ჭაბუკმა მისთვის უცხო ქალაქში გადმობარგების პირველ ხანებში განიცადა. ავტორს კარგად აქვს აღწერილი ებრაული სასწავლებლები (ხედერი-დაწყებითი და იეშიბა-საშუალო), მათი პედაგოგები და ებრაელებისადმი დამოკიდებულება პროვინციაში. ნათანის ცხოვრების ზოგიერთი მომენტი გ. ბაახოვის ავტობიოგრაფიულ დეტალებს მოგვაგონებს (მაგალითად, მისი სწავლა ქართულ გიმნაზიაში და უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, ებრაელ ინტელიგენტთა მხატვრული საღამოები, მათზე ნათანის სიტყვიით გამოსვლა და სხვა). საინტერესოაა გადმოცემული ნათანის თბილისში ცხოვრების წლები და მისი მონაწილეობა ებრაელ ინტელიგენტთა მიერ ჩამოყალიბებულ ორგანიზაციაში, რომელიც ქართველ ებრაელთა სამეურნეო და კულტურულ დახმარებას ლაშობდა. სწორედ ამ სარბიელზე შეხვდა ნათანი ღარიბი ებრაული ოჯახიდან გამოსულ შაულ ათანელიშვილს, კომუნისტსა და მოწინავე მუშას, რომელიც მას გზის გამკვლევად მოეგვლინება. ავტორი დიდი დამაჯერებლობით და სიმპათიით გვიხატავს ამ გონებანათელსა და კეთილშობილური ბუნების ადამიანს, ვინც კომუნისტური პირდაპირობით, მაგრამ დიდი ტაქტითა და წინდახედულებით ილაშქრებს ყოველივე მცდარისა და მავნეს წინააღმდეგ. შაულს კარგად აქვს გათვალისწინებული ის გზა, რომელიც ღარიბ ებრაელობას ჩიხიდან გამოიყვანს. „საჭიროა ებრაელთა შორის მუშათა რიცხვის მომრავლება, კომუნისტური უჯრედის ჩამოყალიბება. ხელმძღვანელობა უნდა ეკუთვნოდეს მუშებს, ღარიბებს, პარტიულებს, ხოლო უპარტიო ხალხს შეუძლიან ამ უჯრედის გარშემო შემოკრბეს“. ნათანს ჯერ არა სწამს შაულის გეგმის, მაგრამ ვერც მის ავტორს იფიწყებს. მწერალი გვიჩვენებს რა სიძნელეების გადალახვა ჭირდება ნათანს, რომ პროლეტარული იდეოლოგიის პოზიციამდე მივიდეს. ამ საქმეში გადამწყვეტ

როლს ასრულებს შაულ ათანელიშვილი, რომლის სახე, ნაკ-
ლები სიუჟეტური დატვირთვის მიუხედავად, რომანის მთავარ
პერსონაჟად გვევლინება. იგი სათავეში ჩაუდგება ღარიბ ებ-
რაელთა პირველ საწარმოს და საბჭოთა ორგანოების დახმა-
რებით დაიწყებს ენერგიულ საქმიანობას ღარიბ ებრაელთა
ეკონომიური და კულტურული მდგომარეობის გასაუმჯობე-
სებლად. მაშინ როცა შაული „ფესვში იხედება“ და პრაქტი-
კულად ცდილობს მძიმე საქმის აღგილიდან დაძვრას, ცხოვ-
რებას მოწყვეტილი ინტელიგენტები, რომელთა შორის ნათა-
ნიც ურევია, განუწყვეტლივ კამათობენ განყენებულ თეო-
რიულ პრობლემებზე და ცხოვრებას მოწყვეტილნი, დროს
უნაყოფო დისკუსიებში ატარებენ; სწორედ იმიტომ სძულთ
სტუდენტური კორპორაციის წარმომადგენლებს შაული და
მისი საქმე, რომ ამ ადამიანის პრაქტიკულ საქმიანობაში
თავიანთი მცდარი დებულებების და აბსტრაქტიზმის დამამარ-
ცხებელს ხედავენ.

მწერალი დამაჯერებლად გვიჩვენებს სხვადასხვა სოცია-
ლური წრის ადამიანებში ძველი თვითშეგნების რღვევას და
ახალი მსოფლმხედველობის ფეხმოკიდებას. ასეთ გარდაქმნას
განიცდის არა მარტო ნათან ჯანაშვილი, არამედ ღატაკი მეწ-
ვრილმანე დანიელ თაფლიაშვილი; მისი ქალიშვილი რუთი,
თორის დარაჯი ძია დათო, სტუდენტი ირაკლი გორგაძე და
სხვანი. მწერალი გვიჩვენებს იმ მტრულ ჯგუფსაც, რომელიც
ყოველი ძალით ებრძვის საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე
მყოფთ. ასეთი არიან მდიდარი ვაჭრები და ებრაელ სათვის-
ტომოების „თავმჯდომარეები“ კონტრრევოლუციური სულით
გაქლენთილი გაიძვრები — ბენიამინ ბერიძე და ყვარა შათა-
შვილი, მათი დამქაშები, კოჭლი მელამედი და სხვანი.

მწერალი ყველგან ხაზს უსვამს იმ დიდ როლს, რომელსაც
თამაშობენ ამ ბრძოლაში პარტიის რიგებში აღზრდილი მოწი-
ნავე ადამიანები შაულ ათანელაშვილი და იულია ბერგერი,
რომელნიც ღარიბ ებრაელთა მასისათვის აგიტატორებისა და
ნიჭიერი ორგანიზატორების როლს თამაშობენ. მწერალი არ
მალავს თავისი მთავარი გმირის ნათანის შეცდომებს, არ ალა-
მაზებს მის უტოპისტურ და მონაროღნიკო იდეებს ინტელი-

გენციის წამყვან როლზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი ამით გვაჩვენებს იმ სირთულეებს, რომელთაც იმ პერიოდის ებრაელი საზოგადო მოღვაწეები განიცდიდნენ, ვისაც ებრაელთა სპეციფიკური ცხოვრების პირობები ხშირად აბნევდა და ამ „სპეციფიკის“ წყალობით ზოგჯერ შემცდარ პოზიციებზე აყენებდა. ებრაელ ინტელიგენტთა კორპორაციის, „დავითის ფარის“ უსაფუძვლობის და უნიათობის ჩვენებით, მისი სამართლიანი კრიტიკით, გერცელ ბააზოვმა სასტიკი განაჩენი გამოუტანა იმ სხვადასხვა ნებაყოფლობით ებრაულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომელნიც ცდილობდნენ უუამაგალი გამხდარიყვნენ ებრაელ მშრომელებისა და საბჭოთა ხელისუფლებას შორის. მწერალმა ცხადად გვიჩვენა, რომ ღარიბ ებრაელთათვის ერთადერთი გზა არსებობს, — ესაა მტკიცედ დადგომა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე და სოციალისტურ შრომაში აქტიური ჩაბმა. სწორედ ამაში მდგომარეობს ამ ნაწარმოების მთავარი იდეა.

რომანი „ფეთხაინი“ მხატვრული თვალსაზრისით გერცელის ყველაზე უფრო დამუშავებული ნაწარმოებია. ცოცხალი, ბუნებრივი, შინაგანი სიმართლით აღბეჭდილი, ამასთან, მრავალფეროვანი ტიპაჟი, ბუნებრივი სიტუაციები და მწერლის სხვა ნაწარმოებებთან შედარებით უფრო მეტი სტილურ-ენობრივი დახვეწილობა — საინტერესო საკითხავად ხდიან ამ წიგნს, რომელმაც თავის დროზე ქართველი მკითხველი საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი დაიმსახურა.

როგორც აღვნიშნეთ „დილლემარ“ აგვირგვინებს გ. ბააზოვის შემოქმედების პირველ პერიოდს (ოციანი წლები) და მწერლის მხატვრულ ევოლუციის ახალი ეტაპის დასაწყისად გვევლინება. „დილლემარ“ დაიწერა 1928 წელს, ხოლო ცალკე წიგნად 1929 წელს გამოიცა „სახელგამის“ მიერ.

„დილლემარ“ ალეგორიულ-სიმბოლური ხასიათის ნაწარმოებია. მასში ავტორი ნართაული საშუალებებით და გადატანით მნიშვნელობით ნახმარი სახეებით ადამიანთა ბედნიერებისა და თავისუფლებისაკენ სწრაფვას და კაცობრიობის უკეთესი მომავლისაკენ ლტოლვას გვისურათებს.

ბიესაში გამოყვანილი გმირები, მათი ქცევა, სიმბოლურად

განასახიერებს ადამიანთა მიერ სახალხო თავისუფლებისაკენ, სოციალური თანასწორობისა და საყოველთაო კეთილდღეობისაკენ სწრაფვის გზებსა და ეტაპებს. აქ ნაჩვენებია უსამართლო სოციალური სისტემისადმი დამოკიდებულების სხვადასხვა სახეობა, ე. ი. მოცემული არსებულის რევოლუციური გზით გარდაქმნის აზრიც და არსებულის ევოლუციური გზით სრულყოფის (რეფორმისტული გზის) სიმბოლური დახასიათებაც.

ეს პიესა თავისი არსით რეალისტური ნაწარმოებია და საზოგადოების გარდაქმნის გაგებაში მარქსისტულ ფილოსოფიას ეფუძნება. მისი მიზანდასახულობა — ესაა ცდა იმის ნათელყოფისა, რომ კაცობრიობის ბედნიერებისათვის ბრძოლა განუწყობილებელი მეცნიერული კამათის სფეროში კი არ უნდა ემწყვდებოდეს, არამედ ხალხის უშუალო ცხოვრებას უკავშირდებოდეს და მასთან მტკიცე კავშირში ხორციელდებოდეს. რომ ჭეშმარიტებას მხოლოდ თეორიულ სფეროში კი არ უნდა ვეძებდეთ, არამედ ცხოვრების სასიცოცხლო ამოცანებს ვუკავშირებდეთ. რომ თეორიულად მოპოვებული ჭეშმარიტება თვითკმარი რამ კი არ არის, არამედ მას პრაქტიკაში უნდა ვნერგავდეთ და ადამიანთა ცხოვრების კონკრეტული პირობების გასაუმჯობესებლად ვიყენებდეთ.

პიესის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ანტაგონისტურ საზოგადოებაში, სადაც კლასთა ბრძოლა მისი განვითარების საშუალებად გვევლინება, გარდუვალია სვებედნიერთა და ჩაგრულთა არსებობა, რომ ბრძოლის პროცესში ხალხის წიაღიდან განუწყვეტლივ წამოიზრდებიან ხალხის ბელადები და წინამძღოლნი, რომელნიც შეებრძოლებიან გამეფებულ უსამართლობას და სახალხო ბედნიერების მოსაპოვებლად თავს გასწირავენ. მაგრამ ამ კეთილშობილ რაინდთაგან მხოლოდ ისინი მიადწევენ მიზანს, ვინც ბრძოლაში მცირერიცხოვან „რჩეულთა“ ჯგუფს კი არ დაენდობა, არამედ მშრომელი ხალხის უფართოეს მასებს დაუკავშირდება, დარაზმავს და საიერიშოდ გაუძღვება. რომ გამარჯვება მხოლოდ იმ შემთხვევაშია მოსალოდნელი, თუ პიროვნება ხალხისაგან განუყოფელია, მისი ინტერესების გამომხატველია და თავის ბრძოლაში ხალხს ეყრდნობა.

პიესის იდეის თანახმად, ხალხისაგან მოწყვეტილი ყოველ-

გვარი მოძრაობა ავანტურისტულ წამოწყებაში გადადის და დამარცხებისთვისაა განწირული. ვერავითარი „გმირები“ და „ხეკაცები“ ვერ შესძლებენ ეპოქალური ამოცანების გადაჭრას, სწორი გზის მონახვას, თუ ისინი სისხლწორცეულ კავშირში არ იმყოფებიან ცხოვრებასთან, მშრომელ ხალხთან, როგორც ისტორიის ძირითად მამოძრავებელ ძალასთან და თავიანთ საქმიანობაში მისი კონკრეტულ-ისტორიული ამოცანებით არ ხელმძღვანელობენ. ავტორი გვეუბნება, რომ, თუ პიროვნების მიზანი მოწყვეტილია ხალხს, თუ მისი იდეალები არ შეესაბამება საზოგადოების ისტორიული განვითარების დონეს და ხალხის ეპოქალურ მოთხოვნებს — პიროვნება გარდუვალად განწირულია.

ამრიგად, გ. ბააზოვის ეს პიესა, თავისი შინაარსობლივი მხარით, საბჭოთა ლიტერატურის თემატური ინტერესების რკალშია მოქცეული და თავისი იდეური მიზანდასახულობით საბჭოთა ლიტერატურის მსოფლმხედველობრივ პრინციპებს შეესატყვისება. მაგრამ ამ პიესის მხატვრული ფორმა, ჩანაფიქრის მხატვრული გადაწყვეტის ხასიათი და ხერხები რალაც ანაქრონისტულ შთაბეჭდილებას ტოვებს და მთლიანად ვერ შეეფერება ოცინი წლების დამლევის საბჭოთა ლიტერატურისათვის ნიშნულ სტილსა და ფორმას.

საქმე იმაშია, რომ სიმბოლისტური დრამის აქსესუარისა და ხერხების გამოყენება, (რაც ქართულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით, რევოლუციამდე იყო გავრცელებული) საბჭოთა პერიოდში სრულიად მოძველებული მოჩანს, ახალი შინაარსი, ანდა ე. წ. „მარადიული პრობლემების“ ახლებური გადაწყვეტა (და „დილლემარ“ კი სწორედ ასეთია) ახალ ფორმას საჭიროებდა. გ. ბააზოვმა კი საკითხის ახლებური იდეური გაშუქება იმ ხანისათვის უკუგდებულსა და დრომოქმულ ფორმაში გაახვია და ამიტომ მისი ნაწარმოებიც თანადროული ლიტერატურული პროცესისაგან განზე გაირიყა, იმ პერიოდის საბჭოთა ლიტერატურის მაგისტრალური გზის მიღმა დარჩა.

ფორმის შეუსაბამობამ „დილლემარს“ აბსტრაქტული იერი მისცა და მეტისმეტი ფილოსოფიური სიმშრალე შესძინა. ეს განყენებულობა ვნებს პიესას და მას რალაც წმინდა რაციონა-

ლისტურ ხასიათს სძენს. ვფიქრობთ, რომ „დილლემარი“ და-
გვიანებული გამოცხილია იმ ტკივილებისა, რომელიც ს. შან-
შიაშვილის „შეგების თავადში“ და მეტერლინკის „ლურჯ
ფრინველში“ გამომჟღავნდა, მაგრამ საკითხის იდეური გადაწყ-
ვეტის უფრო მაღალი, თანამედროვე საფეხურით.

სიმბოლისტური დრამის ზოგიერთი ხერხისა და საშუალების
გამოყენებამ კიდევ უფრო გაამძაფრა პიესის ალეგორიულ-
სიმბოლური ხასიათი, დაამძიმა ნაწარმოები და ალაგ-ალაგ
გააბუნდოვნა კიდევ. საექვო ღირსების თავისებურებათა და
ნაკლოვანებათა მიუხედავად ამ პიესამ ცხადყო, რომ მისი ავ-
ტორის სახით ქართულ დრამატულ მწერლობას მოევლინა
ნიჭიერი და საინტერესო დრამატურგი.

მხატვრული თვალსაზრისით ეს პიესა რითიმე განსაკუთრე-
ბულით არ გამოირჩევა. მიზანდასახულობის სპეციფიკურობამ,
ალეგორიულ-სიმბოლურმა ხასიათმა, მოქმედ პირთა პირობი-
თობამ, ხელი შეუშალა პერსონაჟთა ინდივიდუალიზაციას, ხო-
ლო ამან ერთგვარი აბსტრაქტულობა, სქემატიზმი და განყენე-
ბულობა წარმოშვა. არსებითად, ეს პიესა უფრო ლიტერატურ-
ული ნაწარმოებია, ვიდრე სცენაზე დასადგმელად ვარგისი
პიესა. სცენური მხარის სისუსტე იყო მიზეზი იმისა, რომ მის-
თვის არც ერთ თეატრს ხელი არ მოუკიდია (თუმცა კ. მარჯა-
ნიშვილი ერთხანს ფიქრობდა მის ფეერიულ ყაიდაზე დადგმას).

გ. ბააზოვის დრამატურგიული ნიმუშების ენა, საერთოდ
კარგ შეფასებას იმსახურებს, განსაკუთრებით, მომდევნო პიე-
სების („მუნჯები ალაპარაკდნენ“, „იცა რიჩინაშვილი“). ამ
ნაწარმოების ენაც (იმჟამინდელი დრამატურგიული დონისა
და სალიტერატურო ენის მდგომარეობისათვის) საკმაოდ გამო-
მეტყველი, მოქნილი და სახეობრივი მოჩანს.

გ. ბააზოვის მომდევნო პიესების „დილლემართან“ შეპი-
რისპირება მკაფიოდ ცხადყოფს მწერლის დრამატურგიული
ოსტატობის უცილობელ ზრდას, სცენურობის კანონების და
იმგვარი დრამატურგიული ნიმუშების შექმნის უნარის გამომჟ-
შავებას, რომელნიც ლიტერატურულ ღირსებებთან ერთად
საინტერესო სცენური ღირსებებშითაც გამოირჩევიან.

გერცელ ბააზოვის ფართოდ ცნობილი პიესა — „მუნჯები

ალაპარაკდნენ“ არა მარტო ავტორის, არამედ მთელი ქართული დრამატურგიის სასიხარულო მიღწევა იყო. ეს ნაწარმოები ისეთი იდეური ძალითა და მხატვრული გამომეტყველებით გვიჩვენებდა 30-იანი წლების საბჭოთა სინამდვილეს, ისეთი სიღრმით ასახავდა იმ პერიოდის უმნიშვნელოვანეს მოვლენას — ახალი საბჭოთა ხასიათის ფორმირებას, სოციალისტური შეგნებისა და საბჭოთა მორალის დამკვიდრებას — რომ იგი უცილობლად უნდა მიეკუთვნოს იმ პერიოდის ქართული მხატვრული მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს.

„მუნჯები ალაპარაკდნენ“ ქართული საბჭოთა დრამატურგიის ნამდვილი შენაძენი იყო. ამ პიესამ ცხადყო გერცელ ბააზოვის მხატვრული ნიჭიერება და დრამატურგიული ოსტატობა. „დილლემარის“ შემდეგ ეს იყო დიდი ნაბიჯი წინ; არსებითად, გერცელ ბააზოვის, როგორც დრამატურგის, სახელი ამ პიესიდან იწყება. ხოლო ტრაგედია „ხავაი“ (რომელიც „მუნჯებზე“ ადრე დაიწერა) არც დაბეჭდილა და არც დადგმულა.

„მუნჯები ალაპარაკდნენ“ ავტორმა 1931 წელს დაწერა. 1931 — 32 წლების სეზონში ეს პიესა თითქმის ერთდროულად დაიდგა მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე (რეჟისორი დ. ანთაძე) და ქუთაისის მესხიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე (რეჟისორი გრ. სულიაშვილი). ეს გ. ბააზოვის პირველი პიესა იყო, რომელმაც სცენა იხილა. 1937 წელს გამოცემლობა „ფედერაციამ“ ცალკე წიგნადაც გამოსცა იგი.

ამ პიესამ დამსახურებული წარმატება მოიპოვა და ავტორს ერთსულოვანი აღიარება მოუტანა. ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ და საზოგადოებრიობამ მაღალი შეფასება მისცეს პიესასაც და სპექტაკლსაც, რამაც კიდევ უფრო წაახალისა ახალგაზრდა დრამატურგი, რომელმაც ორი წლის შემდეგ ახალი საინტერესო პიესა შექმნა — „განურჩევლად პიროვნებისა“.

„მუნჯები ალაპარაკდნენ“ ქართული თვალსაზრისით მკაფიოდ გამოკვეთილი დრამაა. მართალია, ავტორის მითითების თანახმად მისი მოქმედება 1928 წელს მიმდინარეობს, მაგრამ პიესა იმდენად განმაზოგადებელი ხასიათისაა და იმდენად ეპოქალური მოვლენების ამსახველია, რომ მისი მოქმედება არ იფარგლება ამ ზუსტი თარიღით და იგი ჩინებულად ეხმაურება

მთელ იმ პერიოდს, რომლისთვისაც ნიშანდობლივია პიესაში ასახული პროცესები; ეს პროცესი კი, როგორც აღვნიშნეთ, ახალი ადამიანის ფორმირების პროცესია და იგი დღემდე გრძელდება. ამიტომაც შეინარჩუნა ამ პიესამ ასე დიდხანს ხმამაღალი ყდერაც და აქტუალობაც. მას დღესაც კი ვერ ჩავთვლით მხოლოდ და მხოლოდ ისტორიულ-ლიტერატურულ ფაქტად. იგი დღესაც ძალუმად ეხმაურება თანამედროვეობას და დიდი შთაბეჭდილებით გვიჩვენებს იმ დიდად საგულისხმო პროცესს, რომლისადმი ინტერესი არასოდეს შემცირდება, რამდენადაც თანამედროვე ყოფის მრავალი მხარის საწყისები სწორედ იქ იღებენ სათავეს.

პიესას თავიდანვე ემჩნევა ის სტილური თავისებურება, რომელმაც ჯერ კიდევ „დილლემარში“ იჩინა თავი: მხატვრულ პროზასთან დაახლოებული, ვრცელი, აღწერითი რემარკები; მოქმედების უწყვეტობა და შინაგანი დინამიკა; მასალის დრამატიზების უნარი და მკაფიო გამომეტყველებითი ჩვენება ადამიანებისა და მოვლენებისა.

„მუნჯები ალაპარაკდნენ“ ოთხი მოქმედებისა და 14 სურათისაგან შედგება. მოქმედებათა შორის სურათების სიმრავლე საერთოდ ახასიათებს გერცელ ბააზოვს, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ასეთი დანაწევრებულობა არ აძლევს მის პიესებს ფრაგმენტულ ხასიათს და ყველა ისინი კომპოზიციურად შეკრულ დრამატურგიულ ნაწარმოებებს წარმოადგენენ.

თუ გ. ბააზოვის პირველ პიესაში „დილლემარ“ პერსონიფიცირებული ცნებები, აბსტრაქტული სახე-ხასიათები და განზრახ სქემატიზებული პერსონაჟები მოქმედებდნენ (რასაც პიესის თავისებურება და მოქმედ პირთა ფილოსოფიური აქცენტუაცია მოითხოვდა) პიესაში „მუნჯები ალაპარაკდნენ“ უკვე ცოცხალი, ტიპიზებული, მკაფიო ადამიანური ინდივიდუალობით შემკული პიროვნებები მოქმედებენ. ამ პიესის პერსონაჟები დიდი ოსტატობით არიან შექმნილი და მათში ადამიანთა ხატვის ავტორისეულმა ნიჭმა იჩინა თავი. აქ პირველად გამომჟღავნდა გერცელ ბააზოვის უნარი მხატვრული ხასიათების განზოგადებისა და მდიდრული ინდივიდუალიზაციისა. ამასთან ერთად, მოქმედ პირთა ინდივიდუალური ორნამენტირება ხელს

არ უშლის მათ კლასობრივ წარმომადგენლობას, ე. ი. საქმე გვაქვს ოსტატურ ტიპიზაციასთან. იგივე ითქმის სცენურ სიტუაციათა შესახებაც. გ. ბააზოვის მიერ მოცემული დრამატული გარემო დახატულია ცოცხლად, ტიპიურად, მხატვრული თვალსაზრისით მეტად გამომეტყველი და მკაფიო ფერებით.

„მუნჯები ალაპარაკდნენ“ სიუჟეტურადაც მეტად საინტერესოა. როგორც აღვნიშნეთ, სიუჟეტის დამაინტერესებლად წარმართვის ხელოვნება გ. ბააზოვმა ჯერ კიდევ „დილემამარში“ გამოამყვანა. „მუნჯებში“ სიუჟეტი გაცილებით უფრო მწყაზარი, დინამიური და ნამდვილად ცხოვრებისეულია. ამასთან ერთად, დრამატურგი იჩენს გმირთა „შიგნიდან“ გახსნის უნარს, რაც ამ პიესას ფსიქოლოგიური დრამის ელემენტებითაც ამდიდრებს.

ამ პიესის მიზანს ღარიბი ქართველი ებრაელების სოციალისტურ ყოფაში ჩაბმის ჩვენება წარმოადგენს. ავტორმა ამოცანად დაისახა დაგვიხასიათოს ტრადიციული ადამებით მკაცრად შეზღუდული ებრაელთა ცხოვრების ახლებურად გარდაქმნის პროცესი. გვიჩვენოს ახალი ადამიანები, რომელნიც ახალი სინამდვილის გავლენით ნაციონალურად და სოციალურად შევიწროვებულ ებრაელ მოსახლეობაში გაჩნდნენ და რომელნიც თანამოძმეთა საუკუნეობრივი სიბნელისა, უვიცობისა, შუასაუკუნეობრივი ჩვევებისა და რელიგიური ფანატიზმის წყვედიადიდან ამოყვანისათვის იბრძვიან. იბრძვიან მათ წინააღმდეგ, ვინც ძველი ცხოვრების განგრძობას ცდილობს და სხვადასხვა არქაული ლოზუნგებით ამ ყოფას იცავს, ამრიგად, ამ პიესის თემატურ ამოცანას ებრაელი ხალხის ცხოვრების გარდაქმნისა და ღარიბი ებრაელობის სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმის ჩვენება წარმოადგენს.

პიესა კოლორიტული სურათით იწყება: მდიდარი ებრაელი ვაჭრის დანიელ შათარაშვილის სახლის პირველ სართულში, ქუჩყსა და სივიწროვეში სამი დატაკი ოჯახი ცხოვრობს — მეწვრილმანე იენისკიელ ყვითელაშვილის ოჯახობა, ბოგანო ხარაზი მიერ სეფიაშვილი და მარტონელა მოხუცი, თორის დარაჯი, იშაი მამისთვალი. ავტორის რემარკა ასეთი ლაკონურობით გვიჩვენებს კონტრასტს პირველსა და მეორე სართულს შორის:

„პირველ სართულში — კრაქი, ჩვრები, სიღარიბე, მეორე სართულში — ელექტრონი, მოკრიალებული იატაკი, სიმდიდრე“. მთვარის კურთხევის დამეა. მოხუცი იშაი მთვარეს დარაჯობს, რათა ებრაული წესის მიხედვით, მისი ამოსვლა ჯამაათს შეატყობინოს და ამაში ორიოდე გროში მიიღოს. ამ დროს ხარაზი მეირი კვლავ თავჩაღუნული მუშაობს და ჯღანებს კერავს.

სცენა კულაკ ხარიტონ აბზიანიძის მეირთან სტუმრობით იწყება. ხარიტონი ტუქსვითა და ლანძღვით მიმართავს ახალგაზრდა თავდაპერილ ხელოსანს. დანიელის მეგობარს თვალში არ მოსდის ჩუმი მუშა და პატიოსანი მეირი. აბზიანიძის სიძულვილის მიზეზი მალე ამჟავადდება: მეირი კომკავშირში ჩაწერილია „შენც კონსომოლში ჩაეწერე? ურია და კონსომოლი? ბოლშევიკები შენი ჭკუით ივლიან? თქვენ მდიდრები არ გიყვართ, სახეში არ მოგწონვართ, მაგრამ ხო იცი, ჩვენი დრო რომ მოვა, შენ და ვარლამ ტატიშვილს ერთ ხეზე ჩამოგკიდებთ, ჩამოგახჩობთ, ძაღლებს შეგაჭმევთ“. ხარიტონის უხეში ცინიკური ლაპარაკიდან და მეირისადმი მისი აბუჩად ამგდები, ქედმაღლური დამოკიდებულებიდან კარგად ჩანს, თუ როგორ ებყრობა ხელოსან ებრაელს ზოგიერთი გაღაღებული მდიდარი ქართველი. ამით დრამატურგი გვიჩვენებს ეროვნული ჩავგრის სურათსაც: ქართველი კულაკი, რომელსაც ჰგონია, რომ ქრისტიანობა მას გაცილებით მაღლა აყენებს ყოველ ებრაელზე, ამპარტავნულად დასცქერის მეირს და ტუჩაბზეკით, შეურაცხყოფილად „ურიას“ უწოდებს.

ხარიტონის დამოკიდებულება მეირისადმი, — ესაა ტიპური სურათი რუსეთის იმპერიაში ებრაული მოსახლეობის ჩავგრისა და დამცირებისა. ხარიტონი ფეხსაცმლის შეკეთებაში კუთვნილ გასამრჯელოსაც არ აძლევს მეირს. როცა მეირი ფულს მოითხოვს, ხარიტონი სახეში ესვრის ფეხსაცმელს, მუშტს მოუღერებს და კითხავს — „შენ კიდევ ფულს ითხოვ?“

მაგრამ დრამატურგმა აქვე გვიჩვენა, რომ სოფელში მხოლოდ ხარიტონისთანა ხალხი როდია. მეირს გამოეჭომაგება ვარლამ ტატიშვილი, აქტიური კომკავშირელი და მეირის მეგობარი. იგი ასე მიმართავს მორიდებულ ხელოსანს: „როგორ არა გრცხვენია, მეირ, როგორ უთმენ ყოველივე ამას და არ ატყო-

ბინებ ხელისუფლებას? მე რომ არ გამომეგლო, ვინ იცის, რა სისაძაგლეს არ ჩაიდენდა. შენ ჩვენი პირველი კომკავშირელი ხარ და სირცხვილია კლასობრივმა მტრებმა სიცილი დაგვაყარონ, კომკავშირის რიგებში ერთი ებრაელი ჰყავთ — და ისიც მხდალიო“.

მაგრამ მეირი მხდალი არ არის, „მე ბავშვობიდანვე შევეჩვიე ობლობას, გაჭირვებას, ყველაფრის მოთმენით ატანას. ჩემს ხელობასაც მიუძღვის ამაში ბრალი — გულახდილად უტყდება მეირი ვარლამს — თორმეტი წელია ვზივარ ასე თავჩაღუნული, მთელი დღეობით, წარბშეუხრელად. მე ორი გრძნობა მაქვს: სიძულვილი და სიყვარული. მძულს, მეზიზღება ყველა რჯულის მდიდრები, რომლებმაც ღარიბები ყურმოჭრილ მონებად და მუნჯებად გადაგვაქციეს“.

ვარლამისა და მეირის საუბარს პრინციპული მნიშვნელობა აქვს პიესის იდეურ-თემატური მხარისათვის. დრამატურგი გვიჩვენებს, რომ ღარიბი ებრაელობის გაჭირვებისა და ჩაგვრიდან დასახსნელად, მოწინავე ებრაელ მშრომლებთან ერთად, იღვწიან მოძმე ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები, რომლებიც ებრაელთა ბედს თავის ღვიძლ საქმედ თვლიან. ასეთია, კომკავშირელი ვარლამ ტატიშვილი, რომელიც ეუბნება მეირს: „პარტიულმა კომიტეტმა დაამტკიცა ჩვენი გადაწყვეტილება, გადაწყდა ჩამოყალიბებულ იქნას ებრაელთა კოლმეურნეობა. გამოყოფილია 30 ჰექტარი მიწა“. მეირი აღტაცებულია: „ო, როგორი ბედნიერი ვიქნები, ჩემო ვარლამ, როდესაც ვეღირსები ჩემსავით გაჭირვებულნი ხმას რომ ამოვიღებთ და შევქმნით ახალ ცხოვრებას. მიწა, მიწა! მე ახლა მიწის იმედით ვცოცხლობ. აღარაფერი დამრჩა ზეცაში. ეხლა ვიცქირები დაბლა“.

დრამატურგი გვიჩვენებს პარტიული და კომკავშირული აქტივის დამრავმელ როლს, მის გულისყურთან დამოკიდებულებას მშრომელი ებრაელებისადმი. ამიტომაც უყვარს მეირს ვარლამი, რომელიც მას მასწავლებლად და უფროს მეგობრად მოეგვლინა. „როგორ მიყვარს შენი ლაპარაკი, ვარლამ! — ეუბნება მეირი ტატიშვილს — ასე მგონია ჩემს პატარა სახარაზოში რაღაც ახალი შუქი შემოდის“. ვარლამი, როგორც ხელმძღვა-

ნელი, სამოქმედო პროგრამას უსახავს მეირს და აქტიური მო-
შაობისაკენ მოუწოდებს. „ის არა კმარა, ჩემო მეირ, რომ შენ
კომკავშირის რიგებში ფორმალურად ითვლებოდე. საჭიროა
იგრძნო საბჭოთა ხელისუფლება. ებრაელთა ქუჩას კი, სამწუ-
ხაროდ, ეს დღემდე არ უგრძენია. თუ ჩვენ ხელი მიეუშვით, მა-
შინ არაფერი არ შეიცვლება. მდიდარი ყოველთვის იქნება მდი-
დარი, ღარიბი კი — ღარიბი“. მეირს აღაფრთოვანებს მეგობ-
რის მოწოდება და იგი გულმხურვალედ იტყვის: „მომბეზრდა
ამ სახარაზოში ჯდომა. მომეცით მინდორი, გამიშვით მინდორ-
ზე. მტერს არ გავახარებ. ვიმუშავებ, ათასჯერ უფრო კარგად,
ვიდრე დღემდე“;

ამრიგად, პიესის ექსპოზიციურ ნაწილში დრამატურგმა
მართალი ფსიქოლოგიური დახასიათებით პიესის მთავარი მოქ-
მედი პირის, მეირ სეფიაშვილის გრძნობა-განცდები გადაგვიშა-
ლა და დამაჯერებლად გვიჩვენა ამ ახალგაზრდა მშრომელი
ებრაელის ლტოლვა ახალი ცხოვრებისაკენ, მისი სურვილი თა-
ნამოძმეთა ყოფაში სიახლის შეტანის, ძველი დამყაყებული
ცხოვრების რევოლუციური გარდაქმნისა.

ოდნავ შემდორებულ ექსპოზიციურ ნაწილს დინამიური და
სიუჟეტის სხარტად განმავითარებელი მოქმედება მოჰყვება.
მეირს გულწრფელი და მძლავრი სიყვარული აკავშირებს მასა-
ვით ლატაკი მეზობლის, იესისკიელ ყვითელაშვილის ქალი-
შვილთან, მირიამთან. მირიამი საოცრად ლამაზი, სპეტაკი და
კეთილშობილი ქალიშვილია. მასაც უყვარს მეირი, მაგრამ მი-
რიამი დედ-მამის მორჩილი ქალია და ჯერ კიდევ ძველი ტრა-
დიციების ერთგული მონაა. იგი გრძნობს ახალი ცხოვრების
ქროლვას, ილტვის მისკენ, მაგრამ იმდენი ძალა არ ყოფნის,
რომ ძველთან რადიკალურად კავშირი გასწყვიტოს და მეირ-
თან ერთად ახალი ცხოვრების შენება დაიწყოს. მეირი ქალი-
შვილს ახალი გზისკენ მოუწოდებს: „ახლა საბჭოთა ხელისუფ-
ლებათა — ეუბნება იგი მირიამს — გვეყო რაც ვიტანჯეთ. ცხოვ-
რება უნდა გარდავქმნათ, გავაუმჯობესოთ. ჩვენ ფეხი შევდ-
გით ახალ გზაზე. გინდა თუ არა წამოგვყვე ამ გზაზე? შენ იქ-
ნები პირველი ებრაელი ქალი ჩვენს რაიონში, რომელიც და-
ამსხვრევს ძველ ბორკილებს და მაგალითს მისცემ სხვა შენსა-

ციტ ჩაგრულ ქალებს. მიპასუხე მოკლედ: გინდა თუ არა იცხოვრო ჩემთან, გაიზიარო ჩემი ქირიც და სიხარულიც? ჩვენ შევექმნით კოლმეურნეობას, შენ ჩაგწერთ კომკავშირში“.

მაგრამ მირიამს არ ყოფნის ძალა და ნებისყოფა გაჰყვეს მეირის ძახილს. იგი უარით პასუხობს ვაჟს და დასევდიანებული მიდის. მეირი ხედავს, რომ უბრძოლველად ვერ გაიმარჯვებს. „ძნელია ცხოვრება. საჭიროა ბრძოლა. ორი ბანაკია ქვეყნად, — დანიელ შათარაშვილი და მეირ სეფიაშვილი“. მეირის ამ სიტყვებით მთავრდება პიესის პირველი მოქმედება, რომელმაც მეირი ბრძოლის აუცილებლობამდე მიიყვანა. პიესის შემდგომი მოქმედებები ამ „ორ ბანაკს“ შორის ბრძოლის ჩვენებას ეძღვნება.

სილატაკესა და სიბნელეში მარტო მეირი როდი იმყოფება. მთელი მშრომელი ებრაელობა ამ დღეშია, რასაც დრამატურგი იენისკიელ ყვითელაშვილის ოჯახით ნათელყოფს. წვრილი ვაჭარი იენისკიელი გაკოტრებამდე დანიელის ვერაგობამ მიიყვანა. გაიძვერა დანიელი მოხუც იენისკიელს სესხად საქონელს აძლევს და სესხში საოცარ პროცენტებს ახდევინებს. მოხუცი მეწვრილმანე მამასისხლად შეძენილს ვერ ასაღებს და მისი ვალიც სულ უფრო და უფრო იზრდება. ამას ემატება სახლის ქირა, რომელსაც წურბელა დანიელი ძირითად ვალს უმატებს და მოხუც მდგმურს ობობას ქსელში ახვევს.

ნამუსზე ხელაღებული დანიელი არც თაღლითობასა და მოტყუებას ერიდება. იგი თუმანს მისცემს წერა-კითხვის უცოდინარ იენისკიელს და ხელს კი სამამანეთიან ვექსილზე მოაწერინებს. დაჩაგრულ და უსიტყვო მორჩილებას მიჩვეულ მოხუცს პროტესტის თქმაც კი არ ძალუძს. დრამატურგმა დამამახსოვრებლად და დიდი ტიპიურობით დაგვიხატა ექსპლოატაციით გაძვალტყავებული მოხუცი ებრაელი, ერთი იმ მრავალთაგანი, რომელთა ყველფითა და ჩაგვრით დანიელისთანა ბოლო ვაჭრები ჯიბეს ისქელებდნენ. გამომჟღავნდა, რომ დანიელს იენისკიელის ხელში ჩაქერის შორსგამიზნული გეგმა ჰქონია. მას სურს მოხუცის ულამაზესი ასული, მირიამი, თავის გარყვნილსა და ყველასათვის საძულველ შვილს, ყაზარას შერთოს დესპოტურმა ყაზარამ უკეთური ქცევითა და მხეცური

მოპყრობით უკვე სამი ცოლი გაისტუმრა საიქიოს. „შენ, ჩემო შვილო, — ეუბნება დანიელი ყაზარას, — ისე აგზავნი ცოლებს ყოლამ-ჰაბას (ე ი. საიქიოს — გ. ც.) როგორც მე ვაგზავნიდი ცხრაასოცში სტამბოლში ლირებსა და დოლარებს“. ყაზარას საწინააღმდეგო ყველასთვის კარგადაა ცნობილი. იციან მისი ამბავი მირიამის მშობლებმა, იეხისკიელმა და ნაყომიმ და თუმცა დედა, მოხუცი ნაყომი ყაზარას სიძობის წინააღმდეგაა, მაგრამ იეხისკიელმა უკვე გადაწყვიტა მირიამის ბედი, რადგან სხვა გზა არ დარჩენია. უარის შემთხვევაში დანიელი ვალს მოითხოვს, ყვითელაშვილებს სახლიდან გაპყრის და მთელ ოჯახს შიმშილით ამოწყვეტა ელის.

ავტორმა შექმნა დრამატიზმით აღსავსე სცენა, რომელშიც ოსტატურად გვიჩვენა მოქმედ პირთა სახე და განცდები, დამაჯერებლად გახსნა დანიელის ყაჩაღური ბუნება და იეხისკიელის ტრაგიზმი. ეს არის სცენა ყვითელაშვილების შათარაშვილებთან მიწვევისა, როცა დანიელი ხან დაყვავებით და ხანაც ბოროტი მუქარით მირიამს რძლად ითხოვს. ფსიქოლოგიური სიმართლით გვიჩვენებს ავტორი სვეგამწარებულ მოხუც ებრაელს, რომელიც იძულებულია საყვარელი ქალიშვილი ას მანეთად მტარვალებს მიჰყიდოს. დამამახსოვრებლადაა ნაჩვენები გახარებული დანიელის „სტუმართმოყვარეობა“, როცა იგი ფარისევლურად უმასპინძლებს ადამიანებს, რომელთაც მისი ხელი ყელში აქვთ წაჭერილი და არ იციან, როდის ისურვებს ყოვლისმძლე დანიელი მათ დახრჩობას.

მაგრამ გამოირკვა, რომ დანიელი არც ისე საშიშია და მის ბატონობას ადვილად მოიცელებ თავიდან, თუ ამ ბოროტებას ისე მტკიცედ შეებრძოლები, როგორც ამას მეირი სჩადის. პარტიული აქტივის დავალებით მეირი რაიაღმასკომის თავმჯდომარე მიხა დვალსა და ვარლამ ტატიშვილთან ერთად ბაზრობა დღეს მიტინგს მოაწყობენ, რათა ებრაელთა კოლექტივის დაარსება საჯაროდ გამოაცხადონ და მსურველთა ჩაწერა აწარმოონ.

მდიდარი ვაჭარი დანიელი, კულაკი ხარტონ აბზიანიძე, მათი დასის წევრები და დამქაშები — ავანტიურისტი, სულითა და ხორციით გახრწნილი ზებო დავითაშვილი, რაბი შიმყონ მანაშე-

რაშვილი, ყაზარია და სხვანი ამ წამოწყების ჩაშლას განიზრახავენ. ისინი ენერგიულ საქმიანობას გააშლიან და წინასწარ გააფრთხილებენ ებრაელ მოსახლეობას, რომ კოლექტივში არამცა და არამც არავინ არ ჩაეწეროს. ამისათვის ისინი ხალხის რელიგიური ცრურწმენის გამოყენებასაც ცდილობენ. „ღმერთი არ გაგიწყრეთ, რჯული არ დაივიწყოთ, ქრისტიანებმა არ შეგაცდინონ“ — აფრთხილებს დანიელი ერთმორწმუნეებს. მაგრამ შათარაშვილები მარტო ჩაგონებით როდი მოქმედებენ: ყაზარიას მევალეთა სია დაუჭვრია (მევალებად კი დანიელს მთელი სოფელი ჰყავს) და კარდაკარ დადის; იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში განუვადებს გადასახადს, თუ მევალე სიტყვას მისცემს, რომ კოლექტივში არ ჩაეწერება. დანიელი კმაყოფილია: „რომელი თხერ-ტიალი შეძლებს ჩემი პირობის შემდეგ კოლექტივში შესვლას?“ — გამომწვევად კითხულობს იგი. მეირი დაღონებულია. მას არ ახარებს ვარლამის სიტყვები, რომ პარტიულმა კომიტეტმა მისი, მეირის, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ დაწინაურება გადაწყვიტა. „ჩემ სიხარულს, — ამბობს იგი, — სიმთელე აკლია. წუხელ მირიაში გაათხოვესო“. მაგრამ ეს თავზარდამცემი ამბავი როდი გააპასიურებს მეირს. ვარლამის კითხვაზე — ხომ არ იმოქმედებს ეს შენს მომავალ საქმიანობაზეო, მეირი პასუხობს: „პირიქით, ამიერიდან უფრო გააფრთხებით ვიბრძობებ. მე დამრჩა მხოლოდ ერთი გრძნობა: სიძულვილი მჩაგვრელებისადმი და ამ გრძნობით ვივლი წინ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე“.

დრამატურგი თანმიმდევრულად ხსნის მეირის სახეს და ხაზს უსვამს მასში ახალ საბჭოთა ადამიანის თვისებებს: პატრიოტიზმს, მაღალ მოქალაქეობრივ თვითშეგნებას, პასუხისმგებლობის გრძნობას, ენერგიას, პატიოსნებას და სიმტკიცეს.

ამ პერიოდის პიესებში მეტად ხშირია კრებების, მიტინგების, სხდომების სცენური ჩვენება. უმრავლეს შემთხვევაში ამგვარი სურათები საკმაოდ ტრაფარეტულია. გ. ბააზოვის პიესაშიც მიტინგის სცენა სიახლით არ გამოირჩევა, მაგრამ დრამატურგმა მაინც შესძლო ორი მოპირდაპირე დასის მტრული დაპირისპირების და აღელვებული განწყობის ჩვენება. იმ დაძაბულობის გადმოცემა, რომელიც მიტინგზე შეყრილ ხალხს

დაელექტრიზებულ მასად ხდის. კარგადაა ნაჩვენები ღარიბთა ერთსულოვანი ლტოლვაც. რაიადმასკომის თავმჯდომარის სიტყვისა და მეირის გულწრფელი გამოსვლის შემდეგ, ებრაელი მშრომელები ერთობლივად ითხოვენ კოლექტივში მათ მიღებას. შათარაშვილი გაოცებულია: მას ეგონა, რომ ათამდე კაციც არ შეიკრიბებოდა კოლექტივის მომხრე და მოულოდნელად კოლმეურნეობაში შესვლის მსურველთა რაოდენობამ ბევრად გადააჭარბა მოლოდინს. დანიელს ვერ შველის ვერც მგზნებარე გამოსვლა კოლექტივის წინააღმდეგ, ვერც ვერაგული ხრიკები და ვერც ღარიბთა პირდაპირი დაშინება. მეირი საკადრის პასუხს გასცემს შათარაშვილს.

მეირის სიტყვებში შეგნებული მებრძოლისა და იდეურად ნაწრთობი ადამიანის სიმტკიცე მოჩანს. „შათარაშვილი ჩვენი კლასობრივი მტრების და კულაკების აგენტია. მაგას არ უნდა თავის ბრჭყალებიდან გაგიშვათ... იგი ხედავს, რომ კოლექტივის დაარსებით მის ბატონობას საფუძველი ერყვევა და ამიტომ გამოდის ათასგვარი პროვოკაციული განცხადებით. მაგრამ მშრომელი ებრაელობა არ წამოეგება მაგის გადმოგდებულ ანკესზე“. ეს მართლაც ასე მოხდება. ამიტომ სწორია ვარლამი, როცა მომხდარს ასეთ კვალიფიკაციას უკეთებს: — „ღარიბ ებრაელობაში გარდატეხა დაიწყო და ათას შათარაშვილსაც კი აღარ შეუძლიან ისტორიის ბორბლის უკან დაბრუნება“.

ეს მართლაც ასეა, მაგრამ ძველმა რევოლუციონერმა, მიხაღვალმა იცის, რომ მტერი ადვილად არ დანებდება და ამიტომ მკაცრად აფრთხილებს ყველას: „ჩვენ არ დავინდობთ არა კაცს, ვინც შეეცდება წინააღმდეგობა გაგვიწიოს ჩვენს დიდ საკოლმეურნეო მშენებლობაში“. ამ გაფრთხილების მიუხედავად ასეთი ხელშემშლელი მაინც აღმოჩნდებიან. დრამატურგი გვიჩვენებს მათ მგლურ ბუნებას და შემპარავ, ვერაგულ მეთოდებს. ეს ხელშემშლელი — დანიელისა და ხარიტონის კონტრრევოლუციური ჯგუფია.

მეორე მოქმედებას ავტორი ამთავრებს მეტად ეფექტური და წმინდა დრამატურგიული მანერით გადაწყვეტილი სურათით: მოხუცი იშაი, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე მდიდრების მორჩილებაში გაუტარებია, დანიელის და რაბინ

შიმცონის ყურმოჭრილი ყმა იყო, ახლა მტკიცედ დგება მეირის მხარეზე და კოლმეურნეობაში ეწერება. დრამატურგი ლაკონიურად, მაგრამ მეტყველად გვიჩვენებს მის შინაგან ყოყმანს და შემდეგ, მიღებული გადაწყვეტილებისადმი ერთგულებას. მაგრამ კიდევ უფრო გასაოცარი იყო იეხისკიელ ყვითელაშვილის უტყვი და დაჩაგრული ცოლის, ნაყომის, კოლექტივში შესვლა. იგი მიჰბაძავს თავის უფროს შვილს, დავითს და ქმრის წინააღმდეგობის მიუხედავად კოლმეურნეობაში ჩაეწერება. ამის დანახავი დანიელ და ყაზარია შათარაშვილები თვალებს არ უჯეროიან. მათი მძახალი არაფრად აგდებს მდიდარი მოყვრების თხოვნას და დემონსტრაციულად დგება შათარაშვილების მოსისხლე მტრების მხარეზე.

ღარიბი იშაისა და ნაყომის კოლექტივში ჩაწერა ორი მტრული ბანაკის სამკედრო-სასიცოცხლო კონფლიქტის კულმინაციად აღიქმება და მძლავრი ემოციური ზემოქმედების ძალით გამოირჩევა. ეს სცენა პიესის ერთ-ერთი საუკეთესო და დრამატულად დამუხტული სცენაა. ახლა კი ჩანს, რომ ახალმა ცხოვრებამ ებრაელთა გეტოსებურ უბანშიც შეაღწია, ღარიბი ებრაელობა ახალ კვალზე შეაყენა და თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ გზა გაუხსნა.

თუ ახალ ცხოვრებას ზიარებული ღარიბი ებრაელები უჩვეულო განახლების გრძნობას განიცდიან და გაათქეცებული ენერგიით იწყებენ ახალ ცხოვრებას (მეირი, დავითი, ნაყომი, იშაი და სხვანი), სამაგიეროდ, ძველის ერთგულნი — იეხისკიელ ყვითელაშვილი და მისი ქალიშვილი, შათარაშვილების კლანკებში ჩავარდნილი მირიამი, კვლავ ჯოჯოხეთში იმყოფებიან.

მესამე მოქმედების პირველ სცენაში, რომელშიც მირიამის ქმრის ოჯახში ცხოვრების სურათია ნაჩვენები, ავტორს დიდი ძალით აქვს გადმოცემული რძლის უსაზომო დამცირება, შეურაცხყოფელი მოპყრობა, მისი ლანძღვა-გინება და ფიზიკური გვემა. დანიელი, მისი ნახევრად სულელი, მაგრამ ბოროტი და ავზნიანი ცოლი, იოხაბედი და მხეცური ინსტინქტების მატარებელი ყაზარია, — თითქოს მირიამის დაჩაგვრაში ერთმანეთს ეჯიბრებიან. მირიამი ითმენს, იტანს ყოველივეს. მან შეგნებულად გაყიდა თავი, რათა გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნი-

ლი ოჯახისათვის ეშველა. ტყუილად კი არ ამბობდა შეირო — „მირიამმა თავისი თავი ოჯახს მსხვერპლად მოუტანაო, და სხვა გზა არცა ჰქონდაო“. დღედღამ აუტანელ შრომაში მყოფი მირიამი მაინც მორჩილია თავისი ბედისა. ამასთან, ჩანს, რომ ქალის მტკიცე გულში რაღაც გადაწყვეტილება მწიფდება და იგი დროს ელის. აუტანელი პირობების მიუხედავად მირიამს კიდევ შერჩენია სულიერი სითბო, იგი ძველებური მზრუნველობითა და სიყვარულით ეპყრობა მამამისს და კეთილ გზისკენ უბიძგებს მას. ჩანს, რომ მირიამი თვალყურს ადევნებს კოლმეურნეობის მუშაობას. მირიამსა და იეხისკიელს შორის საგულისხმო დიალოგი იმართება, რომლიდანაც კარგად ჩანს მირიამის შეგნებაში მომხდარი ძვრები:

მირიამი. ისინი თურმე კარგად მუშაობენ. ცხენები უყიდიათ, ბოსელი აუშენებიათ. ეხლა საერთო საცხოვრებელი დაუწყიათ.

იეხისკიელი. ვიცი, შვილო, მაგრამ არ შემიძლია, ორი ვალი მაქვს: ღმერთისა და დანიელისა. ვერ გავეჩქევი ვერც ერთს.

მირიამი. იქ დედა მუშაობს. იქ დავითი მუშაობს. იქ...

იეხისკიელი. ვიცი, შვილო, მაგრამ არ შემიძლია,

მირიამი. იქ ახალი ცხოვრებაა, იქ სამართლიანობაა...

იეხისკიელი. ვიცი, შვილო, არ შემიძლია.

მირიამი. იქ მუშაობენ თავისთვის, აქ კი სხვებისათვის. იქ ტკბილი ცხოვრებაა, აქ კი ჯოჯოხეთია.

იეხისკიელი. მართალია, ჯოჯოხეთია, მაგრამ განა ასე აღვილია ჯოჯოხეთიდან თავის დაღწევა, ჩემო საყვარელო ქალიშვილო!

იეხისკიელის უარში მარტო ჯიუტობა როდია. ამ პატიოსან მოხუცს, რომელსაც შიმშილით სიკვდილი ურჩევნია სხვისი ქონების გატაცებას, ვალის გადახდა წმინდა საქმედ მიაჩნია. მავნე კონსერვატიზმის მიუხედავად, მკითხველი მაინც თანაგრძნობითაა მისდამი გამსჭვალული, რადგან იეხისკიელის შეცდომები შედგება იმ საუკუნეობრივი ჩაგვრისა, რომელშიც ღარიბი ებრაელობა იმყოფებოდა, იეხისკიელს არ ყოფნის ძალა და შეგნება ძველთან კავშირის რადიკალურად გაწყვეტისა

და სწორედ ამაშია მთელი მისი ტრაგედია. დრამატურგი დიდი დამაჯერებლობით და ბუნებრიობით გვიჩვენებს ამ ტრაგიკულ ტიპს, რომელიც ამ პიესის ერთი ყველაზე კოლორიტული და დამამახსოვრებელი სახეა.

მესამე მოქმედებაში ჩართულია ერთი ფრიად საგულისხმო სურათი, რომელიც საინტერესოა იმ მხრივ, რომ მასში გ. ბააზოვი შრომის პროცესის უშუალო ჩვენებას ლამობს. მართალია, ეს სურათი მქრალი და რამდენადმე პლაკატურიცაა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ იგი ოცდაათიანი წლების დასაწყისშია შექმნილი და მაშინ, ამ მხრივ, ჩვენს დრამატურგებს საკმაო გამოცდილება არ ჰქონდათ. საგულისხმო აქ ისაა, რომ გ. ბააზოვს გაუთვალისწინებია შრომითი საქმიანობის ჩვენების საჭიროება, რამდენადაც სწორედ შრომასა და შრომისადმი ახლებურ, ინიციატივიან და შემოქმედებით დამოკიდებულებაში მქლავნდება საბჭოთა ადამიანის ახალი თვისობრიობა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შემდეგ წლებში თანამედროვეთა შრომის პროცესში ჩვენება, ჩვენი ლიტერატურის ნიშანდობლივ თვისებად იქცა. ეს მომენტი გ. ბააზოვსაც სწორად ჰქონია გათვალისწინებული, თუმცა ყოველთვის ვერ ახერხებდა მის მაღალმხატვრულ პრაქტიკულ რეალიზაციას (იგივე შეინიშნება პიესაში „განურჩევლად პიროვნებისა“).

პიესაში „მუნჯები ალაპარაკდნენ“ გერცელ ბააზოვმა გამოამკლავნა ნიჭი ყოფაცხოვრებით დეტალების მეტყველად, კოლორიტულად მიწოდებისა და ჟანრული სცენების დამამახსოვრებლად ხატვისა. ასეთი ფერწერული გამოკვეთილებით აქვს დრამატურგს დახატული ბაზრობის სცენა, სადაც ე. წ. „გამსვლელი ეპიზოდების“ სახით მოცემულია ტიპიური სურათები ქართული ბაზრისა (მაგალითად, ძმების „კონკურენციის“ სურათი, იშაის მიერ ბოლონკას ყიდვის ცდა, აბრამის საზამთროს ამბავი, ნაყომისა და იოხაბედის შეტაკების სცენა, ქალთა ჭორიკანობის სურათები და სხვ). ეს ჟანრული სცენები არ არღვევენ პიესის მთლიანობას. ისინი არც თვითმიზნურ ხასიათს ატარებენ, პირიქით, ერთი მიზანდასახულობის ღერძზე აკინძული ეს სცენები უფრო მკაფიოდ გვიხასიათებენ გარემოს და მათ ფონზე მოქმედ პირთა აზრი თუ საქციელი კიდევ უფრო მეტყ-

ველი და დამამახსოვრებელი ხდება. ასეთი სკულპტურული გამოკვეთილობით ხასიათდება მეირისა და მირიამის შეხვედრა წყაროსთან:

მეირი. საბრალო მირიამ! როგორ გაყვითლებულხარ? სად არის შენი სიცოცხლით სავსე თვალები?

მირიამი. წავალ, ვინმე შემხედავს, ჭორებს მოიგონებენ.

მეირი. საბრალო მირიამ, ნუთუ კაცთან დალაპარაკებისაც გეშინიან?

მირიამი. სიცოცხლეს გამიმწარებენ.

მეირი. მერე როდემდის, მირიამ? ნუთუ ჯერ კიდევ არ დადგა დრო, რომ ხმა ამოიღო? შენი ძმა კოლექტივშია. დედაც...

მირიამი. ვიცი, ისინი ბედნიერები არიან, მე კი უბედური.

მეირი. მირიამ! მირიამ! ჯერ კიდევ გვიან არაა!

მირიამი. ჯერ არ დამდგარა დრო. მაგრამ მოვა. იყავ ყოჩაღად, მშვიდობით (მიდის).

დავითი. (შემოდის) რა მოგივიდა, მეირ?

მეირი. ჩამაფიქრა იმ გარემოებამ, რომ ჯერ კიდევ არა ვარ ბედნიერი. ეს იქნება მხოლოდ მაშინ...

დავითი. როდის?

მეირი. როცა მუნჯები ალაპარაკდებიან!

არა ნაკლებ საგულისხმოა მეორე წყვილის შეხვედრა, — იენისკიელის და ნაყომისა. მირიამის მშობლების ურთიერთობა დრო-ჟამს შეუცვლია. ნაყომის ხმაში მონადქცეული ქალის მოკრძალებულობა კი აღარ ჩანს, არამედ თავდარწმუნებული, დამოუკიდებელი და ამაყი ადამიანის სიმტკიცე. მოხუცი იენისკიელი ძველებურად ვედარ იმორჩილებს ცოლს, რომელიც კოლექტივში მუშაობას, ხალხთან ურთიერთობას, სხვა ადამიანებთან თანასწორუფლებიანობის შეგნებას მთლიანად გამოუცვლია და ახალ ადამიანად უქცევია: ნაყომის ვერ უპატიებია ქმრისათვის, რომ მან მირიამი ძალად გაათხოვა, შათარაშვილებს მიჰყიდა.

ნაყომი რომ მაშინ ისეთი ყოფილიყო, როგორიც ახლაა, — იგი არ დაანებებდა ქმარს ამგვარი საშინელების ჩადენას. მაგ-

რამ სად ჰქონდა დაჩაგრულ, უსიტყვო ნაყოფის ასეთი შეგნება და დამოუკიდებელი მოქმედების უნარი? ამიტომ ექცევა იგი ასე სასტიკად თავის ქმარს, რომელიც გრძნობს დანაშაულს და მეუღლეს შერიგებას ეხვეწება. ნაყოფი შორს დაიჭერს იეხისკიელის წინადადებას — „მირიამი იტანჯებოდას შენი უჭკუობით, სამიწე იოხაბედი იმას ყოველდღე სცემდეს, ყოველ წუთში ვკანკალებდე, სამუდამოდ არ გამოვესალმო მეტქი ჩემს ქალიშვილს, და ამ დროს გიცქირო შენ, კაცის მკვლელს... არა, იეხისკიელ, არ მოესწრები შენ ამას! (მიდის)“. იეხისკელი გრძნობს თავის ტრაგიზმს. „წავიდა, გათავდა. მე აღარც ქმარი ვარ და აღარც მამა!.. დანიელ შათარაშვილის მონა, ლაქია, ჯაშუში“... ეს მართლაც ასეა — გამოუვალ მდგომარეობაში მყოფ იეხისკიელს დანიელი თავის ჯაშუშად აქცევს და ერთი დაბურების ფასად ბნელ საქმეებს აკეთებინებს. იეხისკიელი ახალი ცნობებით „ამარაგებს“ დანიელის ჯგუფს.

დრამატურგი მარტო ღარიბ ებრაელთა ახალი ცხოვრებისაკენ სწრაფვით, მათი ფერცვალეობით და შინაგანი გარდაქმნით კი არ გვიჩვენებს ახალი ცხოვრების ყოველისმძლე გარდამქმნელ ძალას, არამედ უარყოფითი პერსონაჟების, სოციალისტური სინამდვილის ამ გაბოროტებული მტრების სულიერი კრიზისის ჩვენებითაც. იმისდა მიხედვით, თუ როგორ მარცხდება დანიელი, როგორ უკან-უკან მიდის მისი საქმეები.

დრამატურგმა კარგად გვიჩვენა, თუ რაოდენ ძლიერია კლასობრივი მტრების ბოღმა და შური, მათი შიში და სიძულვილი. ამიტომ დანიელის მომხრეების მიერ გადადგმული ნაბიჯები აღიქმება, როგორც სავსებით კანონზომიერი, ლოგიკური გაგრძელება მათი განცდებისა და ავი ზრახვებისა. დანიელი, ყაზარია, ზებო, ხარიტონი გადაწყვეტენ კოლმეურნეობის ხაზინაღარის იშაის მოკვლას, ხოლო მეირისა და დავითის შეპყრობას და დროებით დამალვას, რათა ფულის გატაცება მათ დაბრალდეს. ამ ოპერაციის ჩატარებას ზებო და ხარიტონი იკისრებენ. დანიელი აღტაცებულია — „თქვენისთანა ყმაწვილები ქვეყნად არ არის. თქვენი დახმარებით კოლექტივს აი, ასე მოვქეპყავთ... დამწარდებათ მუშაობა“...

შეთქმულების ამბავს შეიტყობს მირიამი, რომელიც იმიტომ

დარჩენილა მამამთილის სახლში, რომ ბოლომდე ამხილოს მისი მავნებლური საქმიანობა. მირიამი შეძრწუნებულია. იგი გადაწყვეტს იხსნას მეირი, გადაარჩინოს კოლმეურნეობის ქონება და სასწრაფოდ შეატყობინოს დანიელის გეგმები სოფლის ხელმძღვანელებს. „მირიამ ყვითელაშვილო — მიმართავს იგი თავის თავს — დადგა დრო, ამოიღე ხმა!“.

ამრიგად, ის მომენტი რომელსაც მეირი ნატრობდა, ის დრო, როცა მუნჯები ალაპარაკდნენ, — დრამატურგს ემოციონალურად დამუხტული და მხატვრულად ქმედითი გამოუვიდა.

სამაგიეროდ, მეტად ხელოვნურია მეორე სცენა, სადაც იშაისა და დავითზე თავდასხმაა ნაჩვენები. დავითს შეჰკოჭავენ და გაიტაცებენ. იშაის კი ფულს წაართმევენ. მაგრამ იშაი ეშმაკობას მიმართავს, ხარიტონს ტყვიებს დაახარჯვინებს და როცა ამ უკანასკნელს სასროლი ვაზნები გაუთავდება, გათოკავს, ფულს უკანვე წაართმევენ, ხოლო თვითონ გაიქცევა. ეს სცენა ერთად-ერთი ყალბი სურათია ამ პიესაში.

ეტყობა, რომ დრამატურგზე გავლენა იქონია იმ პერიოდში ტრაფარეტად ქცეულმა სიუჟეტურმა სვლამ: საკოლმეურნეო მშენებლობის მტრები, იმდროინდელ პიესათა უმრავლესობაში, როგორც წესი, არტელის სალაროს იტაცებენ და სახალხო ქონებას ცეცხლს უკიდებენ, მაგრამ სოფლის პარტ-კომკავშირული აქტივი ხანძარს აქრობს და მტრებს ააშკარავებს (ისინი, რა თქმა უნდა, კულაკები, ვაჭრები, სამღვდელოების წარმომადგენლები არიან). აქაც იგივე ხდება (ისევე, როგორც ა. მირცხულავას „განგაშში“, პ. სამსონიძის „სალტეში“ და საკოლმეურნეო მშენებლობის ამსახველ იმ პერიოდის სხვა დრამატურგიულ ნაწარმოებებში).

პიესის უკანასკნელ მოქმედებას ებრაელთა კოლმეურნეობის ველ-მინდვრებში გადაყვავართ. მოსავლის აღების დროა და კოლმეურნეები გაცხარებულ მუშაობას ეწევიან (კვლავ შრომის პროცესის ჩვენება, თუმცა საკმაოდ სქემატური და ტრაფარეტული). ამ დროს ფულის გატაცების ამბავი მოაქვთ, საერთო დაბნეულობისა და აღელვებას ვარლამის დინჯი ქცევა და გონივრული განკარგულებები აწყნარებენ. მეირი და რაისაბჭოს თავმჯდომარე, მიხეა აცნობებენ კოლმეურნეებს, რომ

მთელი რაიონი ფეხზეა დამდგარი და ეს დივერსია მტრებს ძვირად დაუჯდებათ. კოლმეურნეები მშვიდდებიან. ისინი ერთხელ კიდევ დარწმუნდებიან, რომ ხალხის თავისუფალ შრომას სახელმწიფო იცავს და მშრომელთა ინტერესების სადარაჯოზე პარტია და საბჭოთა ხელისუფლება დგას. ამას დანიელიც კარგად გრძნობს. „როცა დაიწყეს კოლექტივი, ასე მეგონა ბავშვები ხუხულას თამაშობენ-თქო. ველოდი ქარს. მოვიდა ქარი. მაგრამ ქარმა დაანგრია ჩემი მყუდროება და ჩემი სახლი. ეს ქარი იმათია. ჩემი ქარი კი ჯერ არ მოდის“.

დანიელი და მისი ჯგუფი უკანასკნელი თავგანწირული ნაბიჯის გადადგმას გადაწყვეტს. — ისინი აიძულებენ მოხუც იეხისკიელს ხანძარი გაუჩინოს საკოლმეურნეო ქონებას; წინააღმდეგ შემთხვევაში გატაცებული შვილის მოკვლით ემუქრებიან. „წაიღე ნავთი, მოასხი საქათმეს, ბოსელს, ცეცხლი წაუქიდე პურის ძნებს, რომ ერთდროულად ას ადგილას ცეცხლმა იფეთქოს და უცბად განადგურდეს ყველაფერი, მოსავალიც და შენობებიც“ — ავალებს დანიელი იეხისკიელს. შინაგანად დაბნეული, სიღარიბითა და ჩაგვრით სვეგამწარებული ნახევრად გონებაშერყეული იეხისკიელი მიდის ამ დავალების შესასრულებლად, რათა ამით შვილი გადაარჩინოს. ამ დროს, როგორც ზღვევა და განაჩენი, მტრების ჯგუფს მირიამი წაადგება. „სად გაგზავნეთ მამაჩემი?!“ — რისხვით კითხულობს იგი და სასტიკად ამხელს მჩაგვრელებს. მრავალი წლობით დაგუბებულ ბოღმას მირიამი ერთბაშად გადმოანთხევს და სამუდამოდ გასწყვეტს იმ შემბორკავ არტახებს, რომელიც მას ძველ ცხოვრებასთან აკავშირებდა. „არ გვეყო რაც მსხვერპლი შეიწირეთ, ჩემი თავი თქვენ დაღუპეთ, ჩემი ძმის დაკარგვაც თქვენი ბრალია, ახლა მამაჩემიც გინდათ მოიცილოთ? კმარა. შათარაშვილებო, მსხვერპლი! გეყოთ ჩვენი სისხლი, — ვინც ახლოს მომეკარება, თავს გაუფხეთქავ! გამიშვით, თქვე მხეცებო, აღარ მინდა ვიყო თქვენს ოჯახში. მე იქ წავალ სადაც დედაჩემია, სადაც ჩემი ძმა იყო, სადაც მეირია. ჩემი გზაც იმ ლატაკებთანაა. მე არაფერი მაქვს თქვენთან საერთო!“ მირიამის ამ თამამ აჯანყებას ჩვენ აღვიქვამთ როგორც ძველი ცხოვრების ბასტიონზე გადამწყვეტ შეტევას. როგორც

ახალი ცხოვრების საბოლოო გამარჯვებას უვიცობასა, სიბნელესა და დრომოქმულ ტრადიციებზე.

ესაა პიესის კულმინაცია და მისი ფინალიც. უკანასკნელი სურათი კი უფრო ილუსტრირებულ ხასიათს ატარებს და რეზიუმირების ფუნქციას ასრულებს. დრამატურგი გვაჩვენებს, თუ როგორ მოქმედებს მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ მირიამი. იგი გაქანდება საკოლმეურნეო მინდვრებზე და მამამისს ხანძრის გაჩენის განზრახვაზე ხელს ააღებინებს. პიესა თავდება მოხუცი ებრაელის საერთო ფერხულში ჩაბმით და მირიამის საზეიმო ფიცით, იგი თანამოქმედებს მათთან ერთად ბრძოლასა და შრომას ჰპირდება.

ამრიგად, ათასწლოვანი ჩაგვრით დამუხუცებული ადამიანები ალაპარაკდნენ და ლაპარაკის უფლება მათ ახალმა ცხოვრებამ, სოციალისტურმა სინამდვილემ მისცა. ამაშია ამ პიესის იდეაც, მისი შინაგანი პათოსიც და ლეიტმოტივიც.

პიესის ფინალი რომანტიკული ზეაწეულობით ხასიათდება. იგი სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს და თავისებურ აპოთეოზად გვევლინება. ესაა ზეიმი, ზეიმი ახალი ცხოვრების სრული გამარჯვებისა და ქვეყნის ბედის ახალი ადამიანების ხელში გადასვლისა. ამაშია ამ პიესის დედააზრი.

პიესის პერსონაჟებიდან, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მეირ სეფიაშვილის და მირიამ ყვითელაშვილის სახეები. ეს ორი დადებითი გმირი, ერთი უფრო ადრე შემდგარი ახალი ცხოვრების გზაზე, ხოლო მეორე დიდი ტანჯვითა და შინაგანი ბრძოლით მისული მასთან, პიესის იდეურ-მხატვრულ ხერხემალს წარმოადგენს და პიესის ძირითადი პათოსიც მათ უკავშირდება.

ამ ხასიათების ცოცხლად, დამაჯერებლად, რეალისტურად გამოკვეთა და დამამახსოვრებლად ინდივიდუალიზირება ავტორის უდავო მიღწევაა. ასევე მკაფიოდაა პიესაში გამოკვეთილი დანიელ შათარაშვილის, იეხისკიელის, ნაყომის და იშაის სახეები. თვით ეპიზოდურ სახეებსაც კი დამთავრებულობა, შთამბეჭდაობა და კოლორიტულობა ახასიათებს. ასეთია, მაგალითად, ძუნწად მოხაზული ხარიტონ აბზიანიძე, ზებო დავითაშვილი, ყაზარია და სხვა. სულ ორიოდე სიტყვა აქვს

სათქმელი დანიელის ცოლს, იოხაბედს, მაგრამ ისიც კი ცოცხ-
ლად წარმოგვიდგება თვალწინ და ყველა სცენა მისი მონაწი-
ლეობით (რძლის ცემისა, კვერცხების ყიდვისა, თუ ქმრის ყო-
ველ სიტყვაზე კვერის დაკვრისა) უაღრესად რელიეფურია.
შედარებით უფრო სქემატური მოჩანს დავითი, ვარლამ ტატი-
შვილი და განსაკუთრებით, მიხა დვალი, რომელიც აქ უფრო
„ნომენკლატურული მუშაკის“ როლს თამაშობს (ავტორს
უფრო მიხვას თანამდებობა სჭირდება, ვიდრე მისი ცოცხალი,
ადამიანური სახე).

ამ პიესას აქვს ერთი დიდი ღირსება: იგი დაწერილია გულ-
წრფელი სიყვარულით ჩაგრული პატარა ადამიანებისადმი
საერთოდ, და მრავალტანჯული ებრაელი მშრომელებისადმი,
კერძოდ, ამიტომ იყო რომ ამ პიესამ დიდი როლი ითამაშა
ებრაელობისადმი სიმპათიების ვალვიძებაში და, მაშასადამე
ერთა მეგობრობის განმტკიცებაში. შეუძლებელი იყო გენახა
ეს პიესა და თანაგრძნობით არ გამსჭვალულიყავი ამ კეთილი,
პატიოსანი, მშრომელი და ჰუმანური ადამიანებისადმი, რო-
მელთაც ისტორიულმა პირობებმა და უკუღმართმა სოცია-
ლურმა სისტემამ მძიმე ხვედრი განუშადა, მრავალი მათგანი
სულიერად დააკნინა და დაასახინრა. შეუძლებელი იყო გეყუ-
რებინა ამ პიესის საფუძველზე შექმნილი მართალი, საინტე-
რესო სპექტაკლისათვის და კმაყოფილება არ გეგრძნო იმის
შეგნებით, რომ ეს ჩაგრული ერი საბჭოთა ხელისუფლების
კაცთმოყვარე დამოკიდებულებითა და პარტიის ლენინური
ნაციონალური პოლიტიკის წყალობით ფეხზე დგება, წელში
სწორდება და ახალ ცხოვრებას ზიარებული, დიდი ხნის და-
კარგულ თავისუფლებას ეუფლება.

გარდა მხატვრული ეფექტისა, ამ პიესას გარკვეული შე-
მეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა. ლი-
ტერატურასა და თეატრში მისი გამოჩენა არა მარტო დადუ-
ბითი მნიშვნელობის მხატვრულ ფაქტს წარმოადგენდა, არა-
მედ მას პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. იგი ხელს
უწყობდა ერთა სოციალისტურ ძმობას და ახალი ცხოვრების
ძლევამოსილების, მისი სიყეთისა და სილამაზის შესახებ და-
ლადებდა.

გ. ბააზოვის „მუნჯები ალაპარაკდნენ“ ქართული დრამატურგიის სასიხარულო მონაპოვარი იყო და ამიტომაც, ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრიობა ცხოველი ინტერესითა და საერთო მოწონებით შეხვდა მას. ეს იყო გერცელ ბააზოვის, როგორც დრამატურგის, პირველი დიდი შემოქმედებითი წარმატება.

1933 წელს, გ. ბააზოვი ამთავრებს პიესას „განურჩევლად პიროვნებისა“. ეს იყო ნაწარმოები, რომელშიც დრამატურგი საბჭოთა მორალის პრობლემას აყენებდა. მან ყურადღების ცენტრში დასვა ხალხის საზოგადოებრივი აქტივობის, ადამიანთა ინიციატივის, შემოქმედებითი შრომის და კრიტიკათვითკრიტიკის საკითხები. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ეს იყო წლები, როცა პარტია სოციალისტური საზოგადოების განმტკიცებისა და განვითარებისათვის ბრძოლაში, სახალხო მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციას ამთავრებდა. საჭირო იყო რეკონსტრუირებული წარმოების რაც შეიძლება უკეთ გამოყენება, კადრების ახლებური აღზრდა, მეურნეობის კონკრეტული ხელმძღვანელობა, შრომის უკეთესი ორგანიზაცია, მასების ინიციატივისათვის ხელის შეწყობა, და როგორც ყოველივე ამის ქმედითი იარაღი — მასებში პარტიულ-პოლიტიკურ-სამეურნეო აქტივობის ამაღლება უნდა მოპყვოლოდა. აი, სწორედ ეს საკითხები, რომელიც იმ პერიოდში საბჭოთა ადამიანებს აღელვებდნენ, დრამატურგმა აქცია იმ ფონად, რომელზედაც პიესის მოქმედება გაშალა დასახული იდეური ჩანაფიქრის მხატვრული რეალიზაციისათვის. ავტორი ქმნის დაძაბულსა და ბუნებრივ კონფლიქტს. ამ კონფლიქტს საფუძვლად ახლის ძველთან ბრძოლა უდევს.

პიესა მშვიდი საყოფაცხოვრებო დეტალით იწყება და მძაფრი შეხლა-შემოხლისაკენ მიემართება. დაპირისპირებულ საკონფლიქტო ძალებად ორი განსხვავებული ხასიათი გვევლინება. ეს ორი საპირისპირო ხასიათი პიესის ორ მთავარ გმირს წარმოადგენს. მათი ურთიერთობის ისტორია განაპირობებს პიესის სიუჟეტის განვითარებას.

ქალაქის ერთ-ერთ დიდ სტამბას ძველი რევოლუციონერი ზურაბ მაღლაკელიძე დირექტორობს. ზურაბი პარტიის ძველი

წევრია, რევოლუციამდელი სტაჟით და დიდი დამსახურებით. იგი ჯერ კიდევ იატაკქვეშეთში ყოფნისას მეთაურობდა არალეგალურ სტამბას. რევოლუციის შემდეგ პარტიამ იგი საზღვარგარეთ გააგზავნა სასტამბო საქმის უკეთ შესასწავლად და იქიდან ახალი, მოდერნიზებული მანქანების ჩამოსატანად. ზურაბმა ეს საპასუხისმგებლო დავალება კარგად შეასრულა. სტამბა ახალი ტექნიკით შეაიარაღა და კადრებიც გამოზარდა. ამიტომ იყო, რომ მთავრობამ იგი წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა.

ზურაბი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, მისი სჯერათ უფროს ხელმძღვანელებსაც და სტამბის მუშა-მოსამსახურეებსაც, რომელნიც დიდი სიყვარულით არიან მისდამი გამსჭვალული. მათ ხიბლავს ზურაბის ადამიანური სითბო, უბრალოება და სისადავე. ხალხისადმი გულისხმიერება და ფართო დემოკრატიზმი. ზურაბმა მოადგილეც თავის გემოზე აირჩია, სტამბის ძველი მუშაკი, დაწინაურებული მუშა კორნელი შანიძე. კორნელი საქმის დიდი ერთგული და სტამბაში შეყვარებული ადამიანია. მას წუთიც არ შეუძლია სტამბის გარეშე ცხოვრება და მთელი თავისი აზრით და განცდებით საყვარელ საქმესთანაა დაკავშირებული. სწორედ ამას უსაყვედურებს მისი ცოლი, მეშხანური ბუნების ქალი და „კარგი“ ცხოვრების მანიით შეპყრობილი ადამიანი, ლიდა, რომლისადმიც კორნელი ძლიერი სიყვარულით არის გამსჭვალული.

ლიდა კი პირიქით გულცივია ქმრის მიმართ და განუწყვეტლივ უსაყვედურებს მას ოჯახისადმი არასაკმარის ზრუნვას. „შენ არავინ არ გიყვარს — წუწუნებს ლიდა — შენ მხოლოდ სტამბა გიყვარს, ლინოტიპები და მანქანები“. ლიდას კორნელთან ლაპარაკიდან კარგად ჩანს ორივეს შინაგანი ბუნება. ლიდა ეგოისტი ადამიანი და კაპიტალისტური გადმონაშთებით „ყელამდე ავსებული“ ქალია. მას არაფერი წამს პირადი „მეს“ და პირადი ბედნიერების გარდა. კორნელი კი სრულიად საწინააღმდეგო ტიპია. იგი მშრომელ ოჯახში გაიზარდა. ხალხი და სახალხო საქმე მას ცხოვრებაში ყველაზე მეტად უყვარს. კორნელის ეს თვისებები პიესის დასაწყისიდანვე ცხადი ხდება. ისინი მქლავნდებიან, ჯერ კორნელის



ლიდასთან საუბრიდან და შემდეგ ძმასთან, არჩილთან შეტაკებისას.

არჩილი იოლი ცხოვრების მოყვარული ადამიანია. მას არაერთი თანამდებობა გამოუცვლია და დიდხანს ვერსად ვერ გაუძლია, ან მას ხსნიან, ან თვითონ იგი გარბის, როცა სამსახურში მადის დაკმაყოფილებას ვერ ახერხებს. არჩილს განსაკუთრებით საწყობის გამგეობა უყვარს და თხოვს ძმას, შენთან საწყობის გამგედ მომაწყვეო. მას „შუამდგომლობს“ ლიდაც, მაგრამ კორნელის ამის გაგონებაც კი არ სურს.

წყნარი, დინჯი, კეთილი გულის კორნელი, სტოიკური სიმშვიდით იტანს ძმისა და ცოლის შემოტყვევებს, მაგრამ კორნელი დაუნდობელი და უკომპრომისოა სამსახურში. იგი არავის არაფერს შეარჩენს. თუ ხედავს, რომ ხელქვეითის, ან ამხანაგის შეცდომას საერთო საქმისათვის ზიანის მოტანა შეუძლია.

კორნელის პრინციპულობის და ნაკლოვანებებთან შეურიგებლობის წყალობით ჩამოვარდება პირველი უთანხმოება დირექტორსა და მის მოადგილეს შორის. გამოდგება, რომ სტამბის საყვარელი ადამიანი — დირექტორი ზურაბ მაღლაკელიძე, არც ისეთი უნაკლო ადმინისტრატორი და ბრწყინვალე ორგანიზატორია, როგორაც იგი მიაჩნიათ. ყველაზე ადრე ამას კორნელი შეამჩნევს. კორნელის დიდი ხათრი და სიყვარული აქვს ზურაბის, მაგრამ პრინციპული კორნელი ვერ იტანს წაყრუებას, ნაკლოვანებებზე თვალის დახუჭვას. იგი ხედავს, რომ სტამბა სწორ გზას ასცდა. პატივით განებივრებული, წარმატებებით გაბრუებული ზურაბი თვითკმაყოფილებას მიეცა, თავის თავი შეუცვლელ ადამიანად მიიჩნია. ორდენით დაჯილდოვებამ და წარსული რევოლუციური დამსახურების დაფასებამ მას თავბრუ დაასხა და სამუშაოზე გული აიცრუა. ამას ყოველივეს ხედავს და გრძნობს კორნელი. იგი როგორც კომუნისტი და მეგობარი ჯერ ზურაბთან პირისპირ მოლაპარაკებას გადაწყვეტს, რათა მას თვალი აუხილოს და საბედისწერო შეცდომებისგან დააზღვიოს. კორნელის სჯერა, რომ ამხანაგური კრიტიკა სასურველ შედეგს გამოიღებს.

პირველ შეხვედრისთანავე, კორნელი ვაჟკაცური პირდა-

პირობით ეტყვის ზურაბს: „სტამბა თითქოს ამოვარდა თავის კალაპოტიდან. ადგილი აქვს გარღვევებს... ამ ბოლო დროს, შენც ძალიან გამოიცვალე, მას შემდეგ რაც დაგაჯილდოვეს. შენ შეგიბყრო თვითკმაყოფილების გრძნობამ. გამოვიდა, რომ შენთვის ბრძოლა გათავდა. წინსვლის მაგიერ, უკან წახვედი. ერთი მოვლენა იწვევს მეორეს, მეორე — მესამეს და ვინ იცის სადამდე მიხვალ. ამასობაში კი სტამბის ინტერესები შეილახება. მე არ მაქვს ისეთი ძლიერი ავტორიტეტი, როგორც შენ. მუშები კი, შენის წყალობით მე აღარ მიჯერებენ. შენში კი გაჰქრა უწინდელი ცეცხლი და ენერჯია“.

იმის მაგიერ, რომ ყურად ელო მეგობრის ეს გულწრფელი სიტყვები, ზურაბმა დემონსტრაციულად უგულუბელყო ისინი და კორნელის წინააღმდეგ ფარული ომი დაიწყო. აი, სწორედ აქ გამოირკვა, რომ ზურაბი არ არის ისეთი, როგორიც იგი ხალხს წარმოუდგენია; რომ მას ოსტატურად შეუძლია კეთილშობილი, სათნო ადამიანის ნიღაბი აიფაროს, ქვეშ-ქვეშა საქმეები „აკვარაჰქინოს“ და უღირსი, უნამუსო ნაბიჯები გადადგას. ზურაბი დაინახავს, რომ კორნელის სახით მას საშიში მეტოქე გამოუჩნდა; მან იცის, რომ კორნელი ისეთი ადამიანია, ვისთვისაც საქმე და წარმოება ყველაზე ძვირფასია, რომელიც თავის ნამუსს, თავის სახელს არაფერზე არ გასცვლის, უკან არ დაიხვეს და უკომპრომისოდ შეებრძოლება ყოველივეს, რაც მისი აზრით უარყოფითი და აღმოსაფხვრელი იქნება. ზურაბი გრძნობს, რომ კორნელის „მოთვინიერება“, „მოთაფვლა“, საკუთარ სურვილზე ტარება შეუძლებელია.

ვერაგი ზურაბი მის თავიდან მოცილებას გადაწყვეტს. ამისათვის იგი ინტრიგების მთელ ქსელს გააბამს კორნელის წინააღმდეგ. ასეთ ამოცანას აადგილებს სტამბაში მოკალათებული ზოგიერთი მუშაკი რომლისთვისაც სასარგებლოა ზურაბის ინერტულობა, საქმისადმი გულცივობა. ეს გაიძვერები ცდილობენ ზურაბის სახელს ამოეთარონ და თბილ ადგილებზე წყნარად, თავის შეუწუხებლად, ნელ-ნელა იშრომონ. ასეთები არიან ზურაბის მიერ საამქროების უფროსებად დაწინაურებული საამწყობო ცეხის გამგე — მეტრეველი, სა-


ბეჭდისა — მელიქაძე, საამკინძაოსი — მებუკე, სტამბის მუ-
შები — კალისტრატე ხვიჩია, მეუნარგია და სხვა.

ეს ვაჟბატონები ვერ იტანენ კორნელის, რადგან კორნელი მომთხოვნი, მკაცრი, საქმის კარგად მცოდნე ხელმძღვანელია და მისი „გაცურება“ არავის არ შეუძლია. ისინი გრძნობენ ზურაბის შინაგან უნდობლობას კორნელისადმი და ცდილობენ ურთიერთს წააჩხუბონ დირექტორი და მოადგილე, რათა კორნელი თავიდან მოიშორონ და, თუ ეს მოხერხდა, მისი ადგილი თვითონ დაისაკუთრონ. აი, როგორ ამუშავებენ საამქროების უფროსები ზურაბის გულისმოსაგებად კორნელი შანიძეს: „მუშა რომ კაცს შეიძულებს — მისი საქმე გათავებულა. არ უყვართ მუშებს კორნელის შემოსვლა საამქროში. ეს იგივეა თითქოს შავი ჭირი შემოსულიყოს... მუშები გულისტკივილით იძახიან, აფსუსი არაა ჩვენს საამაყო ზურაბს, ასეთი უშნო და საძაგელი მოადგილე ჰყავდესო“. მელიქაძეს კვერს უკრავს მებუკე — „საამკინძაოში ყველას მობეზრდა მისი შენიშვნები“. მეტრეველი კიდევ უფრო შორს მიდის: იგი ჭორს-გაავრცელებს და ზურაბს დაარწმუნებს, კორნელი ზურგსუკან გლანძღავსო. ზურაბი გამოცდილი დემაგოგია; იგი ცივად გაისტუმრებს საამქროს უფროსებს, კორნელი კარგი მუშაკია და მისი მოხსნა მიზანშეწონილად არ მიმაჩნიაო, — თვითონ კი მაშინვე რაიკომში გაიქცევა, რათა მოადგილე ხელმძღვანელთა თვალში დაამციროს, სახელი გაუტეხოს და თუ გამოუვიდა, მოახსნევინოს კიდევ.

ზურაბი სხვა გაიდვერულ ხერხებსაც მიმართავს, კორნელის გასაშავებლად და ბოროტმოქმედად გამოსაყვანად. იგი საწყობის გამგის თანამდებობაზე კორნელის ძმას, არჩილს მიიღებს. (შეცვლილი გვართ) და მაშინვე მივლინებაში გაუშვებს მას, რათა კორნელიმ ეს ფაქტი ჯერჯერობით ვერ გაიგოს. ამასთანავე მოახერხებს კორნელის ცოლთან კავშირის დაჭერას და სხვადასხვა დაპირებებითა და მაცდური ხერხებით საყვარლად გაიხდის მას. ზურაბის დაკავშირება მეგობრის ცოლთან, კიდევ უფრო ააშკარავებს მის ზნედაცემულობასა და გარყვნილებას. „ზურაბ მაღლაკელიძის ლექსიკონში, ცნება „არა“ არ არსებობს. ზურაბს უნდა, მაშასადამე, უნდა შესრულ-



ნ. გოცირიძე — იშაი „მუნჯები ალაპარაკდნენ“.





ბ. კოსტავა — იცო
„იცო ბიენაშვილი“.



შ. ლამბაშიძე — დანიელ შათარაშვილი
„მუნჯები ილაპარაკდნენ“.

დეს“. — დაქადნებით ამბობს იგი. მართლაც, ყოვლისმძლე ზურაბი, რომელსაც მართო „ქვევით“ როდი ჰყავს მომხრეები, არამედ „ზევითაც“, რასაც უნდა იმას სჩადის. ამასთან, იგი საკმაოდ ხელმრუდეცაა და ხელქვეითების გამოყენებით, სახელმწიფო სახსრებს თავისი სურვილის მიხედვით ფლანგავს. ზურაბი ფრიად ოპერატიულია საკუთარი საქმეების სწრაფად მრგვარებაში. კორნელის ცოლის გარდა, მას მოეწონება მუშა-ქალი, ახალგაზრდა ზინა და მას თავის მდივნად დააწინაურებს. ამით ზურაბს ორი კურდღლის დაჭერა სურს: უნდა ზინა საყვარლად გაიხადოს და კორნელის წინააღმდეგ გამოიყენოს.

დრამატურგი კარგად მონახული დეტალებით უაღრესად დამაჯერებლად, ბუნებრივად, ადამიანთა ცოდნით და მათ ცხოვრებაში ღრმად წვდენით გვისურათებს ზურაბ მადლაკელიძის და იმ ადამიანების ბილწ ბუნებას, რომელნიც მას მხარს აძლევენ.

ბუნებრივია, რომ ასეთი მედასეობა და შინაგანი განხეთქილება სტამბაში უარყოფითად მოქმედებს საწარმოს მუშაობაზე და დაჯგუფებას, ინტრიგებს, შფოთს იწვევს. სტამბის კოლექტივის დიდი ნაწილი ზურაბს ემხრობა. მცირე, მაგრამ უფრო შეგნებული, პრინციპული და პოლიტიკურად მომზადებული კი — კორნელის. კორნელის იცავს სტამბის პარტიორგი კანტორი, მოწინავე მუშა სვიმონი (რომელსაც ზინა უყვარს) და კიდევ რამდენიმე მოხუცი მბეჭდავი.

პიესის პირველი მოქმედება, რომელიც ერთგვარად მოსამზადებელ, ექსპოზიციურ დანიშნულებას ასრულებს, მთავრდება დრამატული სცენით: ზურაბთან საქმეზე მისული კორნელი მოულოდნელ სურათს წააწყდება: მეგობარს მუხლებზე ლიდა დაუსვამს და ეროტიზმის ბურანში გადავარდნილა. კორნელი შეძრწუნებულია: იგი არ ელოდა, არც ცოლის დალატს და არც მეგობრის ასეთ საზიზღარ საქციელს. ამ წუთიდან კორნელი სამუდამოდ დარწმუნდა ზურაბის სულმდაბლობაში, მაგრამ ზურაბიც მიხვდა, რომ ამიერიდან, არც კორნელი დაინდობს მას და ცდილობს დაასწროს მოადგილეს, რათა პირველი დარტყმა თვით მიაყენოს. კორნელი მძიმე სუ-

ლიერ მდგომარეობაშია ჩავარდნილი. ამავე დროს, მას ხელე-
ბიც შეკრული აქვს, რადგან ზურაბის წინააღმდეგ გამოსვლა
შეიძლება ექვიანობის ნიადაგზე წარმოშობილ უპრინციპო
ბრძოლად ჩაუთვალონ.

ასეთ გამძაფრებულ სიტუაციაში დრამატურგს პიესაში შე-
მოპყავს სამი ახალი მოქმედი პირი, რომელნიც შემდგომში
მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სიუჟეტის განვითარებასა
და კონფლიქტის მხატვრულ დასხეულებაში. ესენი არიან სტამ-
ბის პარტოზგი კანტორი, მოწინავე მუშა-მბეჭდავი სვიმონი
და ღირექტორის მდივნად დაწინაურებული მუშა-ქალი ზინა.

კანტორი რუსეთიდან ჩამოსული კვალიფიციირებული სტამ-
ბის მუშაკია. იგი ეროვნებით ებრაელია. ეს პატიოსანი და
მშრომელი ადამიანი სტამბის პარტიულმა ორგანიზაციამ
მდივნად აირჩია. დრამატურგი ხასიათის თანმიმდევრული
გახსნით გვიჩვენებს კანტორის საქმიან თვისებებს, მუშებთან
ურთიერთობას და მაღალ მორალურ ღირსებას. კანტორი,
ისევე როგორც კორნელი, ხედავს, რომ წარმოებაში საქმე
უკან-უკან მიდის და გადაწყვეტს გულახდილად მოელაპარა-
კოს ზურაბს. კანტორის და კორნელის შეხედულებები საერ-
თო საქმეზე მეტად ემსგავსებიან ერთმანეთს, რადგან ორივე
ერთნაირად უანგაროდაა დაინტერესებული სტამბის მუშაო-
ბით. ზურაბი თოფისწამალივით იფეთქებს კანტორის სამარ-
თლიან კრიტიკაზე. სამართლიან კრიტიკას იგი დაჯგუფებად
მონათლავს და მთელ ქვეყანას შეძრავს, — მე ძველ რევო-
ლუციონერსა და პარტიის წევრს უსამართლოდ მთხრობს და
მებრძვიანო. პარტიული ორგანოები საქმის შესწავლას პარ-
ტიულ გამოძიებელს დააკისრებენ.

დრამატურგმა (შეიძლება უნებურადაც კი) მეტად მეტყვე-
ლად გვიჩვენა პიროვნების კულტის პირობებში „ობიექტური“
გამოძიების ხასიათი. ამ მხრივ კორნელისა და კანტორის და-
კითხვის სცენა სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს და გვიჩვე-
ნებს, იმ დროს, როცა პატიოსანი ადამიანების მიმართ ცილის-
მწამებლური ბრალდებები ძალიან ადვილად და სწრაფად
ითხზებოდა. მართალია, პარტკოლეგია, საბოლოო ანგა-
რიშში, სწორი დასკვნა გამოიტანა, მაგრამ ეს უკვე უმაღლესი

პარტიული ორგანოების ჩარევის შედეგი იყო. ხოლო ძირეულ
მა ინსტანციებმა, გამომძიებელმა და პირველადმა პარტიულმა
ორგანიზაციამ ზურაბისა და მისი მფარველების დამქაშე-
ბის „დაწოლის“ შედეგად სტამბაში „დაჯგუფება“ აღმოაჩინა
და მისი „მონაწილეები“ პარტიიდან გარიცხა.

კორნელის პარტიიდან გარიცხვაში დიდი როლი ითამაშა
მისმა ძმამ არჩილმა. როგორც ვთქვით, შორს გამიზნული პო-
ლიტიკით, ზურაბმა არჩილის ძმა გამოცვლილი გვარით საწყობ-
ბის გამგედ დანიშნა, შემდეგ კი მისი სამსახურში მიღება
კორნელის გადააბრალა, — თავისი ძმა საქურდავად მიიღო.
უფრო მეტიც; ზურაბმა კორნელის წინააღმდეგ საზიზღარი
ბრალდება შეთითხნა. მან აიძულა სტამბის მუშა კალისტრატე
ხვიჩია კორნელის წინააღმდეგ ცრუმოწმედ დამდგარიყო და
ერთი ტონა ხარისხოვანი ქაღალდის ქურდობა დაებრალდებინა.
ყოველივე ამის უარყოფა მოულოდნელი ცილისწამებით
დაბნეულმა კორნელმა ვერ შეძლო და იგი, მის ამხანაგებთან,
სიმონ თეთრაშვილსა და კანტორთან ერთად, პარტიიდან გა-
რიცხეს. უნდა ითქვას, რომ პარტიული კრების სურათი დრამა-
ტიკურმა მეტად ცოცხლად და ხატოვნად წარმოგვიდგინა.

„დაჯგუფების“ განადგურებამ საქმეს ვერ უშველა. სტამ-
ბის საქმე უარესად აირია. მეტყველი და მკაფიო მხატვრული
დეტალებით დრამატურგი გვიჩვენებს იმ სრულ დეზორგანი-
ზაციას, რომელიც კორნელის წასვლის შემდეგ წარმოებაში
გამეფდა. გაზეთები დროზე არ გამოდის, სახელმძღვანელოე-
ბის ბეჭდვა გვიანდება, წარმოება-დაწესებულებების და თეატ-
რების განცხადებები არ იბეჭდება, გაიზარდა წუნი, გამეფდა
უღისციბლინობა, შეკვეთები თვეობით გდია კანცელარიაში.
პარტკოლეგიის გამომძიებელი, რომელიც ასე ექომაგებოდა
ზურაბს, ახლა დარწმუნდა, რომ „თევზი თავიდან ყროლდე-
ბა“. იგი აღნიშნავს — „შრომისმოყვარეობის დაცემას, თვით-
ღირებულების ზრდას, თანხების უკანონო გადახარჯვას, მუ-
შახელის დენადობას, შრომის ცუდ ორგანიზაციას“.

ყოველივე ამას კარგად ხედავს ღირეპქტორის მდივანი
ზინაც, რომელიც ზურაბისადმი ქვეშევრდომული სიყვარუ-
ლითაა გამსჭვალული. ზინას ზურაბისადმი მეტისმეტი ერთ-

გულების მიზეზი ისაა, რომ სახელოვანი დირექტორი ქალი-
შვილს სიყვარულში გამოსტეხია, მისთვის ცოლად შერთვა
აღუთქვამს. უბრალო მუშა გოგონას თავბრუ დახვევია ასეთი
ბედნიერების მოლოდინში, მაგრამ ერთხელ ზინამ თავის
„საქმროს“ კორნელის მეუღლესთან შეუსწრო. მას მხოლოდ
ახლა აეხილა თვალები! მხოლოდ ახლა დარწმუნდა, რომ მარ-
თალი იყო სვიმონი, რომელიც ზინამ ზურაბის გულისათვის
თავიდან მოიცილა და სამუდამოდ გაწირა. ზინასთან ერთად,
ქმარს მოულოდნელად თავს დაადგება ზურაბის კანონიერი
ცოლი, ელენე, რომელიც ამხელს ქმრის ამორალიზმს: ზურაბს
სამი ცოლი ყოლია და ახლა მეოთხის თხოვნას აპირებდა,
მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. „რევოლუციური მოგონე-
ბების“ წერის საბაბით იგი სახლში კვირაობით იკეტებოდა
და გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდა.

დრამატურგი ქვეტექსტურად გვეუბნება, რომ ეგოიზმს,
პატივმოყვარეობას და ყოყლოჩინობას, ადამიანი შინაგან გა-
დაგვარებამდე მიჰყავს. ასეთი სენით დაავადებული „მოდ-
ვაწეები“ ფიქრობენ, რომ მათთვის ყველაფერი დასაშვე-
ბია, რომ მათ ყოველივე ეპატიებათ. ამგვარი ადამიანები
ივიწყებენ მოვალეობას, კარგავენ პასუხისმგებლობის გრძნო-
ბას და სულ უფრო და უფრო ექანებიან სიბარიტო-
ბის, სიზარმაცის, ავხორცობის, მუქთახორობის ფერდობ-
ზე, რასაც ისინი საბოლოო ანგარიშში, ანტისაზოგადოებ-
რივ ქცევამდე და ბოროტმოქმედებამდე მიჰყავს. პასუხის-
მგებლობის გრძნობის დაკარგვამ, თვითკმაყოფილებამ, მეტის-
მეტმა პატივისცემამ ზურაბი გზიდან ააცდინა და ხალხს დაუ-
პირისპირა.

დრამატურგი გვეუბნება, რომ კრიტიკა და თვითკრიტიკა
ყველასათვის ერთნაირად აუცილებელი წამალია, რომ საბჭო-
თა საზოგადოებაში არ შეიძლება არსებობდეს ორი ეთიკური
ნორმა, ორნაირი დისციპლინა. — ერთი რიგითი მოქალაქი-
სათვის და მეორე პასუხისმგებელი მუშაკებისათვის, რომ საბ-
ჭოთა მორალის მოთხოვნები ყველასათვის აუცილებელია.
ზურაბმა კი თავისი თავი ამ საყოველთაო ნორმის ზევით დაა-
ყენა. გამონაკლისად ჩათვალა და ამიტომ გამოუხსწორებელი

შეცდომა დაუშვა, რასაც პარტია მას ვერ აპატიებს მიუხედავად დიდი წარსულისა და თვალსაჩინო რევოლუციური დამსახურებისა.

პიესის მთავარი იდეაც სწორედ ზურაბის ქცევასთანაა დაკავშირებული. ამ იდეაზე ნათლად მეტყველებს პიესის სათაური, — „განურჩევლად პიროვნებისა“.

ზურაბის კრახი მეტად მჭევრმეტყველი და ჭკუის სასწავლებელია: ხალხმა, პარტიამ ამხილა, გაკიცხა, დასაჯა იგი. ზურაბს ვერაფერმა ვერ უშველა, ვერც გავლენიან ამხანაგებთან მეგობრობამ და ვერც წარსულმა დამსახურებამ. პიესა მთავრდება წმენდის სცენით. მის შემდეგ, რაც ზინა მოწმე ვახდა ზურაბის ოჯახში დირექტორის ცოლის და საყვარლის ჩხუბისა იგი ღრმად ჩაუკვირდა ზურაბის საქციელსაც, სტამბაში შექმნილ მდგომარეობასაც და საერთო კრებაზე დირექტორის მამხილებელი სიტყვით გამოვიდა. ასეთივე უკომპრომისო კრიტიკით (პიროვნების განურჩევლად!) გამოვიდნენ კორნელი, სვიმონი და სტამბის რიგითი მუშები. დრამატურგმა მოგვცა დასამახსოვრებელი სცენა უმსგავსოების წინააღმდეგ კოლექტივის ერთსულღვანი გალაშქრებისა, რითაც მისი სიცოცხლისუნარიანობა, ძალა და ქმედითობა ვვაჩვენა.

პიესის ნაკლოვანი მხარეებიდან, განსაკუთრებით, აღსანიშნავია ხასიათების ერთგვარი სქემატურობა. რამდენიმე ხასიათის გარდა უმრავლესობა ნაკლებად ინდივიდუალიზებულია. მართალია, თითოეული მათგანი გარკვეული იდეის მატარებელი და შინაარსობრივად საკმაოდ დატვირთულია, მაგრამ ადამიანური ცხოველმყოფელობის თვალსაზრისით მკრთალია და ვერ არის ჯეროვნად გაცოცხლებული.

საყურადღებოა, რომ გ. ბააზოვი პირველი ქართველი დრამატურგი იყო, რომელმაც მიზნად პოლიგრაფიული მუშების შრომისა და ცხოვრების ჩვენება დაისახა და სოციალისტურ ქვეყანაში ბეჭდვითი სიტყვის გაზრდილ ამოცანებს მხატვრულად გამოეხმაურა. ამ მხრივ, მის მიერ გადადგმული ნაბიჯი მეტად საგულისხმოა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს პირველი

ნაბიჯი უკანასკნელი გახდა, რადგან დღემდე ამ თემის ქართველ მწერალთაგან აღარავინ გამოხმაურებია.

პიესა „იკვა რიჟინაშვილი“, რომელიც ასეთი დიდი წარმატებით იდგმებოდა საქართველოს თეატრებში 1936—1937 და 1937-38 წლების სეზონში „მუნჯებთან“ ერთად გერცელ ბააზოვის საუკეთესო დრამატურგიულ ნაწარმოებს წარმოადგენს. იგი ავტორის ბოლოდროინდელი ქმნილებაა და ამიტომ მხატვრულ-დრამატურგიული თვალსაზრისით, სხვა პიესებთან შედარებით უფრო სრულყოფილი და დახვეწილია. ამ ნაწარმოების იდეური ჩანაფიქრი შთამბეჭდავი, პლასტიკური და უაღრესად დრამატიზებული მხატვრული ფორმითაა გადმოცემული. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს პიესა იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით, ქართული საბჭოთა დრამატურგიის უაღრესად საყურადღებო ნიმუშს წარმოადგენს და ოცდაათიანი წლების ქართულ ორიგინალურ დრამატულ მწერლობაში ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად მოგვევლინა.

ეს პიესა მეტყველებდა გერცელ ბააზოვის გაზრდილ მხატვრულ ოსტატობაზე, სოციალისტური რეალიზმის მეთოდის შემოქმედებით ათვისებაზე, ფართო შინაარსის ღრმა გადმოცემისაკენ სწრაფვაზე, იდეური ჩანაფიქრისათვის ადეკვატური მხატვრული ფორმის შერჩევისა და ამ ფორმის სათანადოდ დამუშავების უნარზე.

„იკვა რიჟინაშვილი“ ისტორიულ-რევოლუციური ხასიათის ნაწარმოებია. მასში ავტორმა მიზნად დაისახა ცნობილი ქართველი რევოლუციონერის, იკვა რიჟინაშვილის მგზნებარე ცხოვრებისა და მამაცური საბრძოლო საქმეების მხატვრული ჩვენება. ეს პიესა ავტორმა 1936 წელს დაწერა.

ისტორიულ-რევოლუციური ხასიათის პიესები, უმრავლეს შემთხვევაში, ფრაგმენტულობით ხასიათდებიან და ქრონიკალურ-დოკუმენტალურ ხასიათს იღებენ ხოლმე. თუ მათში წარსულის რომელიმე ცნობილი პირის ღვაწლისა და ცხოვრების ჩვენება სჭარბობს, მაშინ ისინი ისტორიულ-ბიოგრაფიულ ხასიათს იძენენ. ამ შემთხვევაში (ისევე როგორც პირველში), ეპოქის ტიპიურ მოვლენათა მხატვრული ჩვენება ადგილს უთმობს გარკვეული მიზნით შერჩეული დეტალებისა

თუ ეპიზოდების დემონსტრირებას, რის გამოც პიესა აუცი-
ლებლად ილუსტრაციულ ხასიათს ღებულობს.

გ. ბააზოვის დიდი გატაცებით უმუშავნია თემაზე. ჩანს, დრამატურგი ნამდვილად აუღელვებია და შთაუგონებია გა-
მოჩენილი ქართული ებრაელის საინტერესო ცხოვრებასა და
გმირულ საქმიანობას. ერთგან პიესაში, მოქმედ პირად გა-
მოყვანილი ლადო მესხიშვილი, ხუმრობით ეუბნება იცკას
„შენ რომ გხედავ, ვეძებ დრამატურგს, რომელიც დამიწერდა
„ქუთათურ ურიელ აკოსტას“. მართლა ეძებდა ურიელის რო-
ლის ეს დიდებული შემსრულებელი ასეთ დრამატურგს, თუ
ეს მხოლოდ ავტორის ფანტაზიაა, — ძნელი სათქმელია, მაგ-
რამ, როცა გ. ბააზოვის „იცკა რიჟინაშვილს“ ეცნობი, რწმუნ-
დები, რომ გერცელ ბააზოვმა მართლაც შეძლო ქუთათური
ურიელ აკოსტას მიმზიდველი სახის ჩამოქნა. იცკა ჰგავს აკოს-
ტას თავისი მგზნებარებით, კეთილშობილებით, სიმტკიცით,
მოწინავე იდეისადმი ერთგულებით. ორივე მათგანი სასტიკად
აწამა უკუღმართმა სინამდვილემ, უსამართლობამ, რელიგიურ-
მა და პოლიტიკურმა ფანატიზმმა.

პიესის მთავარ გმირს იცკა რიჟინაშვილი წარმოადგენს.
დანარჩენი მოქმედი პირნი (ამ პიესაში კი სამ ათეულზე მეტი
მოქმედი პირია!) მის ანტურაჟს ქმნიან; მაგრამ ისე, რომ არც
საკუთარ თავისთავადობას კარგავენ და ამავე დროს, ძირითა-
დად, იცკას სახის გამოკვეთას ემსახურებიან. ამ ორი ურთი-
ერთდაკავშირებული, მაგრამ რამდენადმე ურთიერთხელშემ-
შლელი ამოცანის შესრულება დიდ მხატვრულ ტაქტს, დრამა-
ტურგიულ ოსტატობას, მახვილ გამომგონებლობას მოითხოვ-
და, და უნდა ითქვას, რომ გ. ბააზოვმა ღირსეულად შეასრუ-
ლა ეს ამოცანა.

დრამატურგის წინაშე რამდენიმე გზა იშლებოდა: მას შე-
ეძლო აედო ერთი რომელიმე დრამატული ეპიზოდი იცკას
ცხოვრებიდან (ასეთი კი მის ცხოვრებაში მრავალი იყო) და
მისი შემწეობით ეჩვენებინა ამ ღირსშესანიშნავი პიროვნების
პეროიკული სახე; შეეძლო მისი ცხოვრების ცალკეულ, უფრო
საყურადღებო პერიოდთა ერთობლიობისათვის მიემართა;
შეეძლო მთელი ცხოვრება დაესურათებინა. ავტორმა გადა-

წყვიტა იცკას ხანმოკლე, მაგრამ დაძაბული და ლამაზი ცხოვრება რაც შეიძლება სრულად ეჩვენებინა და ამ მიზნით, მთელი მისი შეგნებული ცხოვრება გადაგვიშალა. პიესა იწყება იცკას ქუთაისის რეალური სასწავლებლის უკანასკნელი კლასის მოწაფეობიდან და მთავრდება მისი ტრაგიკული სიკვდილით. მოქმედების ქრონოლოგიური ჩარჩო დიდი არ არის; იგი, სულ რაღაც, სამიოდე წლის რკალშია მოქცეული.

დრამატურგმა კარგად გააზრებული და შორსგამიზნული დეტალებით გვაჩვენა იცკა რიჩინაშვილის გიმნაზისტობის ხანა, გადაგვიშალა ამ მკვირცხლი, უაღრესად გულთბილი და დიდად ნიჭიერი ახალგაზრდის სუფთა შინაგანი ბუნება, მიგვანიშნა მისი იდეალები, ამხანაგებთან ურთიერთობა და ყოველივე ამით ნათლად წარმოგვიდგინა მთავარი მოქმედი პირი.

ჩვენ თვალწინ ცოცხალივით წამოიმართება ცოდნისაკენ მსწრაფი, წიგნებზე შეყვარებული, გაურყვნელი ჭაბუკი, რომელიც ყველას აოცებს თავისი ნაკითხობით და ფენომენალური მეხსიერებით. იცკას რუსეთ-იაპონიის ომისადმი დამოკიდებულების ჩვენებით ავტორი ოსტატურად გვაცნობს გმირის პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ იდეალებს. „პორაყენცული“ პოზიციის დამცველი იცკა, ბოლშევიკური ტაქტიკის ერთგული მიმდევარია. შავრაზმელი მასწავლებლის, სუმასბროდოვის შოვინისტურ გამონდომაზე იცკას შეპასუხება და ქართული ენის, როგორც მშობლიურის დაცვა, — გვიჩვენებს მის სახეს და თვითმპყრობელური რეჟიმის პირობებში გამეფებული ნაციონალური ჩაგვრისადმი პროტესტანტულ განწყობას. მაგრამ ამ ეპიზოდებში ქანდაკდება არა მარტო იცკას, არამედ მის ირგვლივ მყოფი ამხანაგების დაღამ ცნობილადის და სერგო ნაქერალელის, მასწავლებლის სუმასბროდოვისა, დირექტორის ემელიანოვის და სხვათა სახეებიც.

უაღრესად კოლორიტულად და დამამახსოვრებლად აქვს გადმოცემული დრამატურგს იცკა რიჩინაშვილის ოჯახური გარემოცვა. შთამბეჭდავად და ბუნებრივადაა ჩამოქნილი იცკას მამის, ცხოვრებით ნაადრევად გატეხილი იოსებ რიჩინაშვილის სახე. ასევე თბილად და კოლორიტულად არის დახატული იცკას დედის, გაუნათლებელი, მაგრამ გრძნობიერი და

მოსიყვარულე ებრაელი ქალის პორტრეტი. მშობლებისადმი და მახლობლებისადმი დამოკიდებულების აღნიშვნით ავტორი გვიჩვენებს გმირის ადამიანურ სიბოძს, კაცთმოყვარე ხასიათს და დიდ ჰუმანიზმს.

მთავარი მოქმედი პირის წინასწარი გაცნობის შემდეგ დრამატურგი აჩქარებული ტემპით შლის მოქმედებას. ქუთაისის მოსწავლეთა საერთო ბოიკოტს ახალგაზრდობის დემონსტრაცია მოჰყვება. იცკა გიმნაზისტთა ამ გამოსვლების ერთ-ერთი ორგანიზატორია. კარგად მიგნებული დეტალებით ავტორი გვიჩვენებს იცკას ხელმძღვანელ როლს და დიდ ავტორიტეტს ქუთაისელ მოსწავლეთა შორის. უნდა ითქვას, რომ პიესაში ნაჩვენებია ქართველთა, რუსთა და ებრაელთა მოწინავე წარმომადგენლების მჭიდრო თანამშრომლობა და სოლიდარობა. ამ მხრივ ეს პიესა ხალხთა ინტერნაციონალური ძმობის ამსახველი და მქადაგებელია. დრამატურგმა ამ მოვლენებთან ჭაბუკი ვლადიმერ მაიაკოვსკიც დააკავშირა. „იცკა, დადაშ, დაიწყო!“ — გაჰკივის მაიაკოვსკი და მკითხველს სჯერა, რომ ამ ამბების მოწმე ვალოდია, სწორედ ასეთ ტემპერამენტს გამოამყდავნებდა დღეს. მთელ ქუთაისში ჩაიშალა სწავლა. ყველანი ქუჩებში გამოვიდნენ, აკრავენ პროკლამაციებს და გაჰკივიან „ძირს ომი“, „ძირს თვითმპყრობელობა“.

დემონსტრაციას მოწინავე გიმნაზისტთა დაპატიმრება მოჰყვება. დაიჭერენ იცკასაც. ეს ამბავი თავზარს დასცემს მის მშობლებს. იცკას თავისი უმცროსი და-ძმაც გაურევოლუციონერებია. „ქალიშვილიც გადამირია, ისიც თავის გზაზე მიჰყავს“. — უჩივის იცკას ნახევრად გალოთებულნი. დაავადებული და უმწეო იოსები. ავის მაცნე სულელებივით იყრიან თავს იოსების ოჯახში მისი ბიძა, გაიძვერა ვაჭარი ხანანია, რაბი შალომი და ჭორიკანა დედაკაცი სიფორია, რომელნიც ეპიზოდურობის მიუხედავად ავტორმა დიდი სიმკვეთრით წარმოგვისახა. ხანანია, ფულის გულისათვის მზადაა დვიძლი შვილიც კი დაჰკლას. იგი ცდილობს არეულობით ისარგებლოს და ძმისწულს, გალატაკებულ იოსებს რამე გამოარჩეს. „ეხლა ვაენობაა. ისრაელებმა უნდა ერთიმეორე შიგ-

ნიდან გავამაგროთ... აწონ-დაწონე იოსებ, ეს ქვეყანა სასწო-
რია“.

„პანებრაელიზმის“ ლოზუნგით, ხანანია საკუთარ საქმეებს „აკვარანჭინებს“. პოლიცმეისტრის ამ აგენტს სურს იოსებს უკანასკნელი დარაბა წაართვას. ასეთივე გაიძვერაა რაბი შალომიც. „ნათქვამია თორაში შენი გამაოხრებელი, შენივე შვილებიდან იშობაო — ჩაჩიჩინებს რაბი იოსებს, — შენი შვილი დასდევს ვილაც ქრისტიან ქალს, ამოდგომია გვერდში გადარჯულებულებს, ქრისტიანებს, სოციალისტებს, მეფისა და ტანტის მტრებს... დასწეროს თხოვნა, ჩამოსთვალოს თავის ამხანაგები, გაშორდეს მათ, მოითხოვოს პატიება“. ვაჭარსა და რაბს კვერს უკრავს გოროდოვოი, ყოვლად გათახსირებული აბრამა, რომელიც წურბელასავით წუწნის გალატაკებულ იოსებს და თვითონაც ებრაელი, ღარიბი ებრაელობის მტერი გამხდარა. ამ დროს ყველას გასაოცრად შემოდის მუდამ მხიარული და მუდამ დამცინავი იცკა. პირველი სისხარულის შემდეგ იოსები შვილს საყვედურით მიმართავს: — „სად გაგონილა ისრაელი და მთავრობის მტერი? „მაგას ციმბირი დააწყნარებს“ — ბუზღუნებს აბრამა. „ვაი ჩემო დაო, სიხო. შენს მოსწრებას“ — მოსტქვამს იცკას შემხედვარე სიფორია. „შენი გულისათვის საისრაელოს საფრთხე მოელის“, — ეუბნება რაბი.

იცკას პასუხი დიდი შინაგანი ძალითა და დამაჯერებლობით გამოირჩევა. „მე კი არ გიმწარებ სიცოცხლეს, — ეუბნება იცკა მამას, — ხელმწიფე გიმწარებს შენც და ღარიბ ისრაელობასაც. ხელმწიფე არ იყო, სარა მოდებამის პროცესი რომ შეეთითხნა და მრავალ ისრაელს სიცოცხლე გაუმწარა? ხელმწიფე არ იყო, შარშან კიშინიოვში, ისრაელების სისხლის ზღვა რო დააყენა? ხელმწიფე არ არის შენისთანა ღარიბებს მთავარ ქალაქებში ცხოვრების უფლება რო წაგართვათ? ხელმწიფე არ არის, მთელს რუსეთის სკოლებში პროცენტული ნორმა რო შემოიღო და ისრაელებს სწავლა-განათლება დაუხშო? ხელმწიფე არ არის, ლატაკ ნეთანელა ფიჩხამეს მანჯურიაში თავი რომ უკრა და ცოლ-შვილი დაუობლა? ხელმწიფე არ არის, მე და ჩემი ამხანაგები სიმართლის თქმი-

სათვის მგლის ბილეთით სასწავლებლიდან რო გამოგვაძევეს? შენი სტუმრები ვინ არიან? ძალი გოროდოვოი, რაბინი და ბურჟუა... ყველანი მეფის ტახტის ერთგულები (დაჰკრავს ხელს მაგიდას), ყველა თქვენ ჩემი მტრები ხართ და მეც თქვენი მტერი ვარ... გამეცალეთ აქედან!“. ეს სიტყვები კომენტარს არ საჭიროებენ. იცკა ვაჭარს (რომლის წინ ყველა ძრწის) და რაბს (რომელსაც ყველა პატივით ებყრობა) უცერემონიოდ კარში გაჰყრის და თავის მტრებად გამოაცხადებს. წყნარი, მორჩილი ებრაული ოჯახისათვის ეს არის გაუგონარი სითამამე და წარმოუდგენელი ამბავი. ამიტომ დაიბნევა ყველა, თუმცა იგრძნობენ, რომ სიმართლე იცკას მხარეზეა.

ამაღელვებლად არის გადმოცემული იცკას მშობლების თანხმობა, შვილის საზღვარგარეთ გაგზავნაზე. მგლის ბილეთით გამოგდებულ იცკას სწავლის კარი ყველგან დახურული აქვს. ამიტომ იგი ლაიპციგში გამგზავრებას გადაწყვეტს. მისი მშობლები უკანასკნელ ქონებაზე ხელს აიღებენ და შვილს საჭირო თანხას შეუგროვებენ. იცკას მეგობრები სინანულით ემშვიდობებიან თავიანთ საყვარელ მოთავეს. განსაკუთრებით, დანადელიანებულია ქართველი ქალიშვილი მერი კაციტაძე, რომელსაც იმდენად შეყვარებია მომხიბვლელი ბუნების იცკა, რომ არსებული ტრადიციის მიუხედავად მზადაა ცოლად გაჰყვეს ებრაელ კაცს და თავისი სიცოცხლე მას დაუკავშიროს.

ღრამატურგი, მიუხედავად მერის შედარებით ეპიზოდური როლისა, მაინც ახერხებს გვაგრძნობინოს მისი კეთილშობილური ბუნება, იცკასადმი უნაპირო სიყვარული და ის სითამამე, რაც პროვინციალური ქალაქის მეშჩანური ტრადიციების ხელაღებით უარყოფასთან იყო დაკავშირებული. იცკა უკანასკნელ დარიგებას აძლევს თავის მოწაფეებს, — მერის, ლიას, ძმას ისაკს. იგი ურჩევს მათ პოლიტიკური ლიტერატურის გაცნობას და მომავალი ბრძოლებისათვის მომზადებას. იცკა გარკვეული მიზნებით მიდის უცხოეთში. მას სურს იმ ცოდნით შეიარაღება, რომელიც ხალხს ჩაგვრისაგან დახსნაში დაეხმარება. მის მიზნებს კარგად ამქლავნებს იცკას საუბარი ებრაელ ნაციონალისტ იეხიელ ჩიკვაშვილთან, რომელიც ნაცი-

ონალისტური პოზიციებიდან უდგება ებრაელთა საკითხს. „განსხვავება ჩვენს შორის იმაშია, — ეუბნება იცკა ჩიკვა-შვილს, — რომ ჩემთვის ეს საკითხი გადაწყვეტილია, შენთვის კი არა. ებრაელთა საკითხი გადაწყდება მაშინ, როცა მოხდება სოციალური რევოლუცია“. იცკა მგზნებარე სიტყვით მიმართავს ამხანაგებს: „ჩემი წასვლის წინ, მოდი, დავდოთ ფიცი, რომ ვიქნებით მშრომელი ხალხის ერთგულნი, რომ ჩვენ სიმაგრეს ვერაფერი ვერ გასტეხს, რომ მტერს ყოველთვის დავხვდებით გამირულად“.

არანაკლებ მძიმე დღე დაადგება იცკას გერმანიაში სწავლის დროს. მაგრამ ვერაფერი ვერ გასტეხს მის სიმტკიცეს და ადრე მიღებულ გადაწყვეტილებას, — რაც შეიძლება უკეთ მომზადებული დაბრუნდეს სამშობლოში, რათა სახალხო საქმისათვის მებრძოლთა რიგებს კიდევ ერთი ღირსეული წევრი შეემატოს. დრამატურგი იცკას იდეური შეხედულებების ნათელსაყოფად გვიჩვენებს იმ განუწყვეტელ დებატებს, რომელსაც რევოლუციის წინა ხანებში სტუდენტობა აწარმოებდა.

ლაიპციგის ქართველ ებრაელთა სათვისტომოშიც ორი „ბანაკი“ აღმოჩნდა: ერთი მხრივაა ძველი მეგობრები იცკა, დადაშ, ალიოშა, იასონი, — ბოლშევიკური ორიენტაციის ახალგაზრდობა, და მეორე მხრივ, მენშევიკი ლადი ბერეჟიანი და ნაციონალისტი ნიკოდიმე სირბილაძე, რომელნიც ოპორტუნისტულ ფრთას ქმნიან. მათთან კამათიდან კარგად იკვეთება იცკას სახე, როგორც იდეურად უდრეკი რევოლუციონერისა. როცა იცკა გაიგებს 1905 წლის შეიარაღებული აჯანყება დაიწყო, მაშინვე გადაწყვეტს სწავლის მიტოვებას და სამშობლოში დაბრუნებას. „დანაშაული იქნებოდა, — არწმუნებს იცკა ამხანაგებს, — რომ ლაიპციგიდან დაუწყოთ ამ ამბებს ყურება. ჩვენი ადგილი ახლა იქ არის, პატიოსან მუშებთან და მებრძოლეთთან. რა დროს სწავლა! დაუყოვნებლივ მივდივართ საქართველოში“. და აი, შემდეგ სურათში, დაუოკებელი იცკა, თავისი ლაიპციგელი მეგობრებით, კვლავ ქუთაისშია და რევოლუციის კოცონს აღვივებს.

რომანტიკულად ზეაწეული და მებრძოლი პათოსით აღსავ-

სე მოკლე-მოკლე სცენებით ავტორი კარგად გადმოგვცემს იმ განწყობილებასაც, რომელიც რევოლუციურ სტუდენტობაში მეფობდა და იმ ატმოსფეროსაც, რომელიც 1905 წელს ქუთაისში სუფევდა. მოქმედების განვითარებასთან ერთად, პიესის რევოლუციური უღერადობა თანდათან მატულობს და 1905—1906 წლების რევოლუციური ბრძოლების ჩვენებისას კულმინაციას აღწევს.

ამ პიესის სიუჟეტი უაღრესად ტევადი და ამასთან ერთად, საკმაოდ რთულია. სიუჟეტის დატოტიანება არ აკარგვინებს ავტორს მთავარ ძარღვს, არ აბუნდოვანებს მთავარ იდეას. სიუჟეტის წამყვან ზამბარად კვლავ იცკა გვევლინება. ქუთაისში ჩამოსულ იცკას გაპარტახებული სახლი დახვდება. შკვეთრი საყოფაცხოვრებო დეტალების მოშველიებით, ავტორი კარგად გვიხატავს იოსების ნახევრად დაქცეული ოჯახის სურათსაც და იცკას ქუთაისში დაბრუნების ამბავსაც, რომელიც ასე მოულოდნელია ადგილობრივი ხელისუფლებისათვის. იცკას ჩამოსვლა პოლიციის მოხელეებში პანიკას გამოიწვევს. დამაჯერებლად გვიჩვენებს ავტორი იოსების შეხედულებათა ევოლუციას. თუ უწინ იგი რევოლუციის მტერი იყო და ცდილობდა იცკა მოძრაობისათვის ჩამოეშორებინა, ახლა იოსები დარწმუნდა იცკას სიმართლეში და ციხეში გამგზავრების წინ აშკარად ამართლებს შვილის რევოლუციურ საქმიანობას და პოლიტიკურ იდეალებს.

ერთ-ერთ სურათში დრამატურგი გვაჩვენებს არალეგალურ კონსპირაციულ ბინას იცკას სახლში. იცკა ქუთაისში დაბანაკებული ჯარის საიდუმლო პარტიული ჯგუფების ხელმძღვანელად დაუნიშნავთ იგი დიდ აგიტაციურ-პროპაგანდისტულ მუშაობას ეწვეა, როგორც ამ სამხედრო ნაწილებში, ასევე ქალაქის მოსახლეობაშიც. იცკას ჰკვიანური და მოხერხებული მუშაობის წყალობით, ჯარისკაცთა ნაწილი რევოლუციის მხარეზე გადავა და ყაზახებს დაუპირისპირდება. იცკა დიდ ორგანიზატორულ უნარს იჩენს. იგი მოაწყობს თავდასხმას იარაღის საწყობზე, მაგრამ მისი მეგობარი ომნერიუსი, რომელიც ოხრანკის აგენტი გამხდარა, გასცემს თავდას-

ხმის გეგმას და მედგარ ბოლშევიკს, ივანოვს, პოლიციას ხელში ჩაუგდებს.

დიდი სიმპათიით აქვს დახატული ავტორს რუსი ჯარისკაცის ივანოვის პორტრეტი, დრამატურგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ 1905 წლის რევოლუციის დროს, მშრომელი ხალხი ეროვნების განურჩევლად ერთობლივად იბრძოდა თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში რუსი ხალხი წამყვან როლს თამაშობდა. პიესაში ნაჩვენებია სხვადასხვა ობორტუნისტული პარტიების ცდები იცკას თავის მხარეზე გადაბირებისა. განსაკუთრებით, აქტიურობენ ქართველი მენშევიკები და ებრაელი ნაციონალისტები.

დიდი რეალისტურობით, შინაგანი დრამატიზმით და ბუნებრიობით გვიჩვენებს დრამატურგი იმ ხანმოკლე დაეჭვებასა და სულიერ დებრესიას, რომელიც იცკამ რეაქციის პირველი შემოტევის დროს განიცადა. მაგრამ ეს მერყეობა დიდხანს არ გაგრძელებულა; მგზნებარე რევოლუციონერი თავის თავში იპოვნის საკმარის ძალას იჭვისა და მერყეობის დასაძლევად და კვლავ ჩვეული ენერგიით და თავგანწირვით გადაეშვება რევოლუციის აჩანჩქარებულ დინებაში. ეს ფსიქოლოგიური პაუზა, შინაგანი ტკივილებითა და დროებითი დაბნეულობით, დრამატურგმა მართლად და დამაჯერებლად გვიჩვენა. ასევე მკაფიოდაა ნაჩვენები იცკას ბრძოლა ქუთაისის ბარიკადებზე. სადაც ერთხელ კიდევ მქლავნდება მისი უდრეკი სული და უშიშარი ხელმძღვანელის ორგანიზატორული ნიჭი. მაგრამ იცკას თავგანწირვა ვერ იხსნის საქმეს. რუსეთის პირველი რევოლუცია დამარცხებით დამთავრდა და რეაქციის მძვინვარე ტალღამ ქუთაისსაც გადაუარა თავზე. პირსისხლიანმა ალიხანოვმა და მეფის ოხრანიკმა რევოლუციონერებზე ნამდვილი ნადირობა გამართა. იცკა უცხოეთში წასვლას გადაწყვეტს, მაგრამ სულ უკანასკნელ წუთს, როცა ქუთაისს უნდა გასცლოდა, პოლიციელი აბრამი რევოლუციონერით ჰკლავს.

რეაქციამ თითქოს საბოლოოდ გაიმარჯვა. მაგრამ ეს მოჩვენებითი ამბავია. რევოლუციურმა ძალებმა მხოლოდ დროებით დაიხიეს უკან, რათა გადაჯგუფდნენ, გამრავლდნენ და

თვითმპყრობელობაზე გადამწყვეტი იერიშის მისატანად დრო შეარჩიონ. ამის ჩვენების ფუნქცია ეკისრება უკანასკნელ სურათს, როცა იცკას ერთგული მეგობარი დაღამ ცნობილადე. შურს იძიებს მეგობრისათვის და სიცოცხლეს გამოასალმებს პრისტავ ელჩიბეკოვს, ორი პოლიციელით (მათ შორის აბრამას), რომელთაც იცკას სიკვდილში უშუალო ბრალი მიუძღვით.

იცკას სიკვდილი ფინალში იმიტომაა ძალუმად მოქმედი, რომ ავტორმა შეძლო შეეყვარებინა ჩვენთვის მისი პიროვნება, შეძლო გაცოცხლებინა იგი და ამიტომ მის დაღუპვას ნაცნობი ადამიანის სიკვდილივით განვიცდით. იცკასადმი სიმპათია არა მარტო მისი პიროვნების ობიექტური ღირსებებითაა გამოწვეული, არამედ (შეიძლება უფრო მეტადაც) იმ დრამატურგიული ინტერპრეტაციით და მხატვრული ხორცშესხმით, რომელიც ავტორმა მოგვცა.

გარდა იცკასი, პიესაში მოცემულია მრავალი საინტერესო ადამიანური სახე და ხასიათი. პიესის მოქმედ პირთაგან ზოგი ისტორიულია, ზოგიც წარმოსახვით შექმნილი (რაც საერთოდ დამახასიათებელია ისტორიული ხასიათის ნაწარმოებებისათვის). ისტორიულთაგან დიდი სიყვარულით არის ნაჩვენები ქართული თეატრის დიდი მოღვაწე ლადო მესხიშვილი. ავტორმა შეძლო მისი ნათელი ადამიანური პიროვნების ჩვენება. ასევე კარგადაა ვახსნილი მუშა-ბოლშევიკის ამბროსი ლომისელის მტკიცე და უდრეკი ხასიათი, მისი ზემოქმედება იცკაზე. ამით ავტორი ხაზს უსვამს კომუნისტური პარტიის ავანგარდულ როლს 1905 წლის რევოლუციაში.

პიესაში მთელი რიგი სურათები გამოირჩევიან დიდი სცენურობით და სიმსუბუქით. მაგალითად, არალეგალურ ბინაზე თავდასხმის, ნადელის რესტორანში შეხვედრების, პოლიცემისტერ ანტინენკოსთან დაკითხვის, იცკას მოკვლის და სხვ.

ქანრული თვალსაზრისით ავტორმა „იცკა რიჟინაშვილს“ ტრაგედია უწოდა. ვფიქრობთ, რომ ეს მართლაც ასეა. ამ ოპტიმისტური ტრაგედიის სახით, ავტორმა საბჭოთა დრამატულ ქანრს კიდევ ერთი საინტერესო ნაწარმოები შესძინა.

ზემოთ გარჩეული და ოციან წლებში ებრაულ თეატრში




დადგმული პიესების გარდა გერცელ ბააზოვს კიდევ რამდენიმე პიესა ეკუთვნის. ესაა ტრაგედია „ზაგაი“, პიესა „შავი ზღვის პირას“ (რომელიც 1938 წელს უნდა დადგმულიყო და რეპეტიციებიდან მოიხსნა) და საბავშვო პიესა „ჭინჭარი“, რომელიც მოზარდ მაყურებელთა თეატრში დაიდგა.

გერცელ ბააზოვი ძლიერი შემოქმედებითი პოტენციის დრამატურგი იყო და ნაადრევ სიკვდილს რომ ხელი არ შეეშალა, იგი კიდევ არა ერთი ნაწარმოებით გაამდიდრებდა მისთვის მშობლიურ ქართულ დრამატურგიას.



გურცელი, შიობლები და და-მეანი



ბოლოსიტყვის მაგიერ

გერცელ ბააზოვის არქივის დიდი ნაწილი უკვალოდ დაიკარგა. მისი ზოგიერთი ნაწერი (პუბლიცისტური წერილები, ნარკვევები და კრიტიკულ-ლიტერატურული სტატიები) ჯერ კიდევ არაა მთლიანად გამოვლენილი. მართალია, მთავარი და პირველხარისხიანი საკმარისად ცნობილი და სისტემატიზებულია, რის გამოც, გ. ბააზოვის სამწერლო პროფილი სრულიად გამოკვეთილად მოჩანს, მაგრამ მუშაობა მის შემოქმედებაზე დამთავრებულად მაინც ვერ ჩაითვლება. ამიტომ წინამდებარე მონოგრაფიული ნარკვევიც ვერ იქნება საბოლოო სიტყვა ამ მწერალზე.

დასასრულ სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია მადლობა მოვახსენო მწერლის დას — ფაინა დავითის ასულ ბააზოვას — გერცელთან დაკავშირებული მრავალი ცნობისა თუ მასალის მოწოდებისათვის და ქმედითი დახმარებისათვის.

ავტორი

ოქტომბერი, 1964 წ.

რედაქტორი თენგიზ ბუაჩიძე
გამომცემლობის რედაქტორი ბ. ხარანაული
მხატვარი მ. ჯანაშვილი
მხატვრული რედაქტორი ირ. ჯანაშვილი
ტექნიკური რედაქტორი თ. მამფორია
კორექტორი ვ. თათეიშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/XI-64 წ., ქაღალდის
ზომა 84×108¹/₃₂. ნაბეჭდი თაბახი 5. სააღრიცხვო-სა-
გამომცემლო თაბახი 3,21.

უე 12560. ტირაჟი 1000. შეკვეთის № 1157.
ფასი 23 კპ.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.
Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

Г. Цицишвили

ГЕРЦЕЛЬ БААЗОВ

Жизнь и творчество

(На грузинском языке)

Издательство „Литература და Хელონება“
Плеханова 179
19 Тбилиსი 64

